პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 42 (19484) ◆ ოთხშაბათი, 19 თებერვალი, 1986 წ. ◆ ფასი 3 კაპ.

გუშინ, 18 თებერვალს, ჩვენი დიადი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმზე მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისადმი, აგრეთვე მოხსენება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ, სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის, პარტიის შეცვლილი წესდებისა და ძირითად მიმართულებათა პროექტები და მიიღეს გადაწყვეტილება ეს დოკუმენტები განსახილველად წარუდგინოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალ ყრილობას.

პლენუმზე განიხილეს ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა ამხ. ბ. ნ. ელცინი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად და გაათავისუფლა იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტში სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

პლენუმმა ამხ. ვ. ვ. გრიშინი გაათავისუფლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

პლენუმმა ამხ. კ. ვ. რუსაკოვი გაათავისუფლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1986 წლის 18 თებერვალს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის *XXVII* ყრილობისადმი.

2. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის საერთო-პარტიული და საერთო-სახალხო განხილვის ძირითადი შედეგები და სკკპ *XXVII* ყრილობის განსახილველად მისი შეტანა.

3. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების ცვლილებათა განხილვის შედეგები და სკკპ *XXVII* ყრილობის განსახილველად პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის შეტანა.

4. მოხსენება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის ძირითად მიმართულებათა შესახებ სკკპ *XXVII* ყრილობისადმი.

5. „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა“ პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგები და სკკპ *XXVII* ყრილობის განსახილველად ამ პროექტის შეტანა.

ამ საკითხებზე მოისმინეს ამხანაგების მ. ს. გორბაჩოვისა და ნ. ი. რიჟკოვის მოხსენებანი. პლენუმმა მოიწონა წარმოდგენილი მოხსენებები, სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის, პარტიის შეცვლილი წესდებისა და ძირითად მიმართულებათა პროექტები და მიიღო გადაწყვეტილება ეს დოკუმენტები განსახილველად წარუდგინოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალ *XXVII* ყრილობას.

პლენუმზე განიხილეს ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა ამხ. ბ. ნ. ელცინი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად და გაათავისუფლა იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტში სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

პლენუმმა ამხ. ვ. ვ. გრიშინი გაათავისუფლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

პლენუმმა ამხ. კ. ვ. რუსაკოვი გაათავისუფლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სკკპ ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში

18 თებერვალს გაიმართა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა, რომელზეც განიხილეს და მოიწონეს კომისიის ანგარიში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის *XXVII* ყრილობისადმი, აგრეთვე სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის შესახებ ახალი დებულების პროექტი, რომელსაც პარტიის მომავალ ყრილობას წარუდგენენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა სკკპ XXVII ყრილობისათვის მასალების მომზადების მიმდინარეობა და იმსჯელა მთელ რიგ ორგანიზაციულ საკითხებზე, რომლებიც პარტიის მომავალი ყრილობის მოწვევასა და მოწყობასთან არის დაკავშირებული.

განიხილა რა სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავი საკავშირო კომუნისტური შაბათობის შედეგები, პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ შაბათობამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 150 მილიონზე მეტმა კაცმა, დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა, საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა და საგრძნობი წვლილი შეიტანა 1986 წლის გეგმის შესრულებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება კომუნისტური შაბათობის შედეგებისა და შაბათობაზე გამომუშავებული სახსრების დანიშნულებისაშებრ მოხმარების შესახებ პრესაში გამოქვეყნდა.

პოლიტბიურომ მოისმინა ამხანაგ ა. გრომიკოს ინფორმაცია 1985 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესი ორგანოს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების მთელი სისტემის მუშაობა მიმდინარეობდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში პარტიის ინიციატივით განხორციელებული ღრმა თვისებრივი ცვლილებების, სოციალისტური დემოკრატიის, სახელმწიფო და საზოგადო მექანიზმის, მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის პირობებში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის პალატების მუდმივი კომისიების ყურადღების ცენტრში იყო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესების საკვანძო საკითხები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების, მომსახურების სფეროს სრულყოფის, მატერიალური და შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენების, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების პრობლემები. მაღლდება „სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის დონე. ძლიერდება კონტროლი ანგარიშვალდებული ორგანოების მუშაობისადმი. თანმიმდევრულად წარმოებს მუშაობა კანონმდებლობის სრულყოფის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის. მიზანდასახულად ხორციელდება უმაღლესი საბჭოსა და მისი ორგანოების საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა.

პოლიტბიურომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომავალ პერიოდში ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მრავალფეროვანი მუშაობის დედაარსი უნდა გახდეს ყველაზე აქტიური მონაწილეობა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის პარტიის პოლიტიკური კურსის რეალიზაციაში, ბრძოლა მშვიდობის შესანარჩუნებლად და დასამკვიდრებლად.

მოწონებულია ამხანაგ ი. კ. ლიგაჩოვის ინფორმაცია კუბის კომუნისტური პარტიის III ყრილობის მუშაობაში სკკპ დელეგაციის მონაწილეობის შესახებ. აღინიშნა, რომ ყრილობის დროს კუბის ხელმძღვანელებთან გამართულმა საუბრებმა ერთხელ კიდევ ცხადყო საბჭოთა კავშირისა და კუბის ხალხთა სოლიდარობა, ორი მომქმე პარტიისა და ქვეყნის მისწრაფება კვლავაც განვითარონ თანამშრომლობა მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა აგრეთვე ქვეყნის საშინაო ცხოვრებისა და კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს შინაპოლიტიკური საქმიანობის ზოგიერთი სხვა საკითხი.

ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

საქართველოში 2 მილიონ 670 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა 15 თებერვალს გამართულ კომუნისტურ შაბათობაში, რომელიც სკკპ XXVII ყრილობას მიეძღვნა. აქედან 2 მილიონ 54 ათასი კაცი ამ დღეს თავიანთ საამუშაო ადგილებზე შრომობდა.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს შაბათობის მოწყობის რესპუბლიკურ შტაბში, 15 თებერვალს გამოუშვეს 22 მილიონ 940 ათასი მანეთის პროდუქცია. ამასთან დაზოგილი მასალებით გამოუშვეს 6 მილიონ 843 ათასი მანეთის ნაწარმი, აქედან 2 მილიონ 200 ათასი მანეთის —სახალხო მოხმარების საქონელი. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობამ 5 მილიონ 197 ათასი მანეთი შეადგინა.

ხუთშაბათის ფონდში გადაირიცხა ამ დღეს მიღებული ხელფასი და მოგება 3 მილიონ 289 ათასი მანეთის ოდენობით.

(საქინფორმი).

ᲒᲐᲖᲐᲕᲨᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲓᲒᲐ

ᲡᲐᲓ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲔᲡᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

რესპუბლიკის მექანიზატორები, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეკეთებული ჭორნოდათ სათესი და ნიადაგის დასამუშავებელი მანქანები მთლიანად და ტრაქტორებისა და კომბაინების მეტი წილი, მომზადებული ხვდებიან საგაზაფხულო სამუშაოებს. შეკეთებულია სათესების, გუთნებისა და კულტივატორების 96 პროცენტი, სამუშაოდ მზად არის სატრაქტორო მისაბმელების 98 პროცენტი. ეს წარმატება სარემონტო საწარმოების, სპეციალიზებული შემკეთებელი საწარმოების, საერთო დანიშნულების სახელოსნოების, ტექნიკური საცვლელი პუნქტების ენერგიული მუშაობის შედეგია.

ამის მიუხედავად, შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ზოგან ტექნიკის მოგლა-პატრონობა გაზრდილ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ცალკეულ მეურნეობებში სტენიურად ხდება საცვლელი ფონდის მეურნეობიდან საცვლელ პუნქტში, იქიდან კი სარემონტო საწარმოში შეზიდვა და შეკეთების შემდეგ უკან დაბრუნება. არის შემთხვევები, როცა დროულად არ იღება ხელშეკრულებები, ყოვნდება შეზიდვის გეგმა-გრაფიკის დამტკიცება და სხვ. ამის გამოც არის, რომ სასილოსე და სამარცვლე სიმინდის ასალები 200 მანქანა, 1200-ზე მეტი მარცვლამაწმენდი და 1000-მდე ტუმბოერეგატიული დანადგარი, 2000-მდე შემსხურებელი და სხვა ტექნიკა მეურნეობებში პრიმიტიულად, ტექნოლოგიის უხეში დარღვევით რემონტდება. სარემონტო ქარხნებსა და სპეციალიზებულ საწარმოებში ჯერ კიდევ ჭიანურდება რემონტი, მთლიანად ვერ სრულდება საცვლელი პუნქტების დაკომპლექტების დავალება.

სად ვეძებოთ გამოსავალი? უწინარესად, საჭიროა აქტიურად დავნერგოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები სარემონტო საქმის ორგანიზაციაში. რადიკალური ღონისძიებები უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ტექნიკური მომსახურების ხარისხი და ოპტიმალურ დონეს მიაღწიოს სარემონტო ბაზების სიმძლავრეებმა, გაღრმავდეს სარემონტო საწარმოთა შემდგომი სპეციალიზაცია და კონცენტრაცია.

გაზაფხულისათვის ტექნიკის მომზადებაში თავი გამოიჩინეს გურჯაანის, გორის, ზუგდიდის, ყვარლის, ცხეთის, თელავის და სხვა რაიონების მექანიზატორებმა. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, დმანისის, ქარელის, კასპის, თეთრი წყაროს, ხაშურის, ხობის, ცხაკაიას და სხვა რაიონებში კი ვერც დავალებები და ვერც ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები ვერ შეასრულეს.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოსამზადებელ სამუშაოებზე ნაკლებად საშური საქმე როდია თესლის მომარაგება. 15 თებერვლისათვის სათესლედ გამოყოფილი იყო 160.572 ცენტნერი, გეგმის 146 პროცენტი, საიდანაც 107.656 ცენტნერი პირველი კლასისაა, ხოლო კონდიციურ თესლში მისი ხვედრითი წილი 67 პროცენტს შეადგენს. თესლის მომზადებისათვის კარგად გაისარჯნენ ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ქარელის, ახმეტის, დმანისის, დუშეთისა და სხვა რაიონების საზოგადოებრივი მეურნეობები. მაგრამ თესვის კამპანიისათვის ჯეროვნად არ ემზადებიან მარნეულის რაიონში, სადაც აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელობა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს გულისყურით არ მოეკიდა. ამის გამო რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს 860 ცენტნერი შვრიის თესლი აკლიათ. ამ მხრივ ჩამორჩენებიან აღმამედლის, ლომთაგორის და ხოჯორნის საბჭოთა მეურნეობები.

თესლის ხარისხისათვის ჯეროვნად არ ზრუნავენ ბოლნისის საზოგადოებრივ მეურნეობებში, სადაც კონდიციური თესლი მხოლოდ 54,3 პროცენტი აქვთ. თესლი აკლიათ დარბაზისა და გახახლების საბჭოთა მეურნეობებში.

რესპუბლიკაში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა სამარცვლე სიმინდის მოყვანას. მაგრამ ამ საქმეს გულისყურით ვერ მოეკიდნენ ქარელის, კასპის, გორის, წითელწყაროს, თეთრი წყაროს და თიანეთის რაიონებში, სადაც თესლი საკმაო ოდენობით არა აქვთ მომარაგებული.

სოიის თესლის მომარაგებაში ჩამორჩებიან ბაიაყოფსკის, ზესტაფონის, აბაშის, ცხაკაიას, ლანჩხუთის რაიონები და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა.

რესპუბლიკაში მრავალწლოვანი ბალახების თესლის მომზადების დავალება 176 პროცენტით შესრულდა, მაგრამ ბოლნისის რაიონში ამ კულტურების თესლი არც ერთი ცენტნერი არ მოუმზადებიათ.

თესვის დაწყებამდე დარჩენილი მცირე დრო საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ნაყოფიერად უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ ხნულს დროულად მიბარდეს ხარისხოვანი თესლი.

Ძ. ᲒᲝᲒᲘᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
რესპუბლიკის სახაგრომრეწვის კომიტეტის პრესცენტრის ხელმძღვანელი.

ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲗ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓ

1986 წლის 25 თებერვალს ზუსტად დილის ათ საათზე საკდესი გვიუწყებს: „მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ...“. კრემლში სამუშაოდ მოვა ხუთი ათასი დელეგატი — ქვეყნის ყველა რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის წარმოგზავნილები, აგრეთვე ყველა კონტინენტის მრავალი ქვეყნის პარტიული დელეგაციების წევრები, უდიდესი დემეშათა საagენტოების, გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოჟურნალისტები.

კრემლში, სამუშაოდ...

და კრემლი მოლოდინშია.

დილა ისტორიულ მოვლენამდე ერთი კვირით ადრე... ადრიანი დილა. ნაცნობი, ამაღელვებელი სურათი: მაცხოვრის კოშკის ჭიშკრიდან გამოდიან განმარინებელი და სპასოდი ფორმაში გამოწყობილი ორი ჯარისკაცი. მხარზე ავარაბინებით, მწყობრი ნაბიჯით მიემართებიან ისინი ვ. ი. ლენინის მავზოლეუმისაკენ. სპასტიო ყარაულში მდგომ მეომრებს ისეთივე საზეიმო ერი აქვთ, როგორც თვით წითელ მოედანს. ზუსტად ასევე მოხდება ყარაულის შეცვლა 25 თებერვალს დილის ათ საათზე.

დღეს კი მივემართებით ერთერთი მარშრუტით, რომლითაც კრემლში მივლენ ყრილობის დელეგატები და სტუმრები: სასტუმრო „მოსკოვი“ — წითელი მოედანი — მაცხოვრის ჭიშკარი — კრემლი.

...რამდენიმე ასეული საფეხური უნდა გაიარო, რომ მიაღწიო კრემლის ყველაზე მაღალ წერტილს — ივანეს დიდის სამრეკლოს 81-მეტრიან ნიშნულს. ზემოდან კრემლი ხელისგულივითაა გადაშლილი. მისი ყველა კოშკი ჩანს. 25 თებერვალს მაცხოვრის, სამების, ნიკოლაკის, ბოროვიცკის კოშკების ჭიშკრიდან აქ მოვლენ ყრილობის დელეგატები და სტუმრები. ახლა ჩვენ ვხედავთ ტელევიზიის მუშაკების ბოლო სამზადისს, რომლებიც ამარატურას აყენებენ კრემლის კედლებსა და კოშკებზე, რათა უფრო გარკვევით უჩვენონ ეთერში კრემლის პანორამა.

ხეული კიბით 60 მეტრ სიმაღლეზე ავდიგარ მაცხოვრის კოშკში. სარკმლიდან დავინახეთ უზარმაზარი ლალის მზეთუნახავი. იქვე ახლოს კრემლის სხვა ვარსკვლავებია, ვარსკვლავები, რომლებიც დღისითაც და ღამითაც ანათებენ. ვარსკვლავები, რომლებიც მუდამ ანათებენ!

ქვემოთ კი, საფეხუროვანი ფიცარნაგის ახლოს, ჯარისკაცების ჯგუფი სამწყობრო მზადებას გადის. გამახსენდა კინოლენტი, რომელზეც აღბეჭდილია მაცხოვრის კოშკიდან მავზოლეუმამდე ყარაულის სრული გავლა. სხვათა შორის, ყარაულის მოძრაობა ჯერ კიდევ კრემლის შიგნით იწყება. გუშაგები და განმარინებელი მწყობრად მიაბიჯებენ ჯერ კიდევ მაცხოვრის კოშკის ჭიშკრამდე. აქ ნაბიჯი რამდენადმე უნდა შეანელონ. მაგრამ როგორც კი გასცდებიან ჭიშკარს, ჯარისკაცები კვლავ საპარადო ნაბიჯით მიდიან, მრავალრიცხოვან მაყურებელს აღფრთოვანებენ ამ საზეიმო ცერემონიით. მთელი გზა ზუსტად 2 წუთსა და 45 წამს გრძელდება. № 1 საგუშაგოზე საყარაულო სამსახურს ეწევა 12 საუკეთესო ჯარისკაცი.

კრემლში ყველაფერი გატყვეებს. მათ შორის იდეალური სიუფთავეც. ასუფთავებენ კრემლის მოედნებს, შესახვევებს, 11 კილომეტრ ტროტუარებს, ამ სამუშაოს მანქანები ასრულებენ.

სსრ კავშირის ჰიდრომეტეოცენტრმა, კრემლის ადგილობრივმა ჰიდრომეტეოსამსახურმა უკვე შეადგინეს ყრილობის მუშაობის ყველა დღის პროგნოზი. ვერც ყინვა, ვერც თოვლი, ვერც ლიპყინული, ვერც თოვლ-წყალი ვერავის ვერ მოუსწრებს მოემზადებელს. ყველაფერი მზად არის მუშაობისათვის.

სტუმრების მისაღებად მზად არის კრემლის დიდი სასახლე, საპორტალის პალატა, სსრ კავშირის ალმასის ფონდი... და, რაღა თქმა უნდა, თითოეული დელეგატი, საზღვარგარეთიდან ჩამოსული თითოეული სტუმარი ეწვევა მუზეუმს „ვ. ი. ლენინის კაბინეტი და ბინა კრემლში“.

ყრილობის გახსნის დღეს მნახველებს თვალწინ წარმოუდგებათ სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ლ. კერბელის ნამუშევარი — ბელადის ახალი ქანდაკება. იგი უკვე დადგმულია კრემლის ყრილობათა სასახლის სცენის სიღრმეში.

მრავალი პროფესიის წარმომადგენლებს აქ ახლა თავიანთი საზრუნავი აქვთ. აპარატურას ამოწმებენ ელექტრიკოსები, აკუსტიკოსები, შუქტექნიკოსები. შემოწმებულია კავშირგაბმულობა. ყრილობათა სასახლიდან ავტომატით შეიძლება გამოძახო ჩვენი ქვეყნის ყოველი ქალაქი, დაუკავშირდე პრაქტიკულად მსოფლიოს ქვეყნების ყველა დედაქალაქს. სინქრონულ თარჯიმანთა დახმარებით თოთხმეტ ენაზე „ილაპარაკებენ“ დარბაზში დადგმულ საკონფერენციო ჩამონტაჟებულ ფულტებზე. მზადდება საკდესის ჟურნალისტთა ბრიგადაც, რომელიც საბჭოთა და საზღვარგარეთის პრესისათვის თავიანთ რეპორტაჟებს ყრილობიდან პირველად გადასცემენ ეს ფულტები ელექტრონული ტექნიკის მეშვეობით...

საღამოს ჩაირთო მძლავრი პროჟექტორები. მათ გაანათეს კრემლის გალავანი, სასახლეები და კოშკები. განათება წინათაც იყო, მაგრამ ასეთი პირველად არის, ეს ნათურები ჰალოგენური ნათურებია, რომლებიც რბილად, თანაბრად აშუქებენ. მოსკოვრიეცკის ხიდიდან იშლება კრემლის ყველაზე დიდებული პანორამა. ასეთს ხილავენ მას მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები საღამოს 24 თებერვალს.

Ა. ᲑᲔᲚᲘᲙᲝᲕᲘ,
Ვ. ᲘᲢᲙᲘᲜᲘ,
(საკდესის კორ.).

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲡᲙᲙᲞ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

1986 წლის 17 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით სხდომა გამართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის მოსამზადებელმა კომისიამ.

კომისიამ შეაჯამა შედეგები რესპუბლიკების საერთო-პარტიული და საერთო-სახალხო განხილვისა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად მიმდინარეობდა.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, პროექტი განიხილეს მოკავშირე რესპუბლიკების „კომპარტიათა ყრილობებზე, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულ კონფერენციებზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების კრებებზე. ამ ღონისძიებებში მონაწილეობდა ათმილიონნახევარი კომუნისტი და უპარტიო. ცენტრალურ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს, გაზეთებს, რადიოტელევიზიას მოუვიდათ დიდძალი წერილები და დეპეშები.

მთლიანად კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის დებულებებს, პარტიის კურსს, რომლის მიზანია დაჩქაროს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, გამოთქვეს მრავალი წინადადება და შენიშვნა.

კომისიამ გაითვალისწინა განხილვის დროს მიღებული წინადადებანი და შემოიტანა ბევრი პროექტში შეიტანა მთელი რიგი ცვლილებანი და დამატებანი. მიღებულია გადაწყვეტილება წარდგენილ იქნეს სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის დაზუსტებული პროექტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის განსახილველად.

ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲗ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓ

1986 წლის 25 თებერვალს ზუსტად დილის ათ საათზე საკდესი გვიუწყებს: „მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ...“. კრემლში სამუშაოდ მოვა ხუთი ათასი დელეგატი — ქვეყნის ყველა რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის წარმოგზავნილები, აგრეთვე ყველა კონტინენტის მრავალი ქვეყნის პარტიული დელეგაციების წევრები, უდიდესი დემეშათა საagენტოების, გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოჟურნალისტები.

კრემლში, სამუშაოდ...

და კრემლი მოლოდინშია.

დილა ისტორიულ მოვლენამდე ერთი კვირით ადრე... ადრიანი დილა. ნაცნობი, ამაღელვებელი სურათი: მაცხოვრის კოშკის ჭიშკრიდან გამოდიან განმარინებელი და სპასოდი ფორმაში გამოწყობილი ორი ჯარისკაცი. მხარზე ავარაბინებით, მწყობრი ნაბიჯით მიემართებიან ისინი ვ. ი. ლენინის მავზოლეუმისაკენ. სპასტიო ყარაულში მდგომ მეომრებს ისეთივე საზეიმო ერი აქვთ, როგორც თვით წითელ მოედანს. ზუსტად ასევე მოხდება ყარაულის შეცვლა 25 თებერვალს დილის ათ საათზე.

დღეს კი მივემართებით ერთერთი მარშრუტით, რომლითაც კრემლში მივლენ ყრილობის დელეგატები და სტუმრები: სასტუმრო „მოსკოვი“ — წითელი მოედანი — მაცხოვრის ჭიშკარი — კრემლი.

...რამდენიმე ასეული საფეხური უნდა გაიარო, რომ მიაღწიო კრემლის ყველაზე მაღალ წერტილს — ივანეს დიდის სამრეკლოს 81-მეტრიან ნიშნულს. ზემოდან კრემლი ხელისგულივითაა გადაშლილი. მისი ყველა კოშკი ჩანს. 25 თებერვალს მაცხოვრის, სამების, ნიკოლაკის, ბოროვიცკის კოშკების ჭიშკრიდან აქ მოვლენ ყრილობის დელეგატები და სტუმრები. ახლა ჩვენ ვხედავთ ტელევიზიის მუშაკების ბოლო სამზადისს, რომლებიც ამარატურას აყენებენ კრემლის კედლებსა და კოშკებზე, რათა უფრო გარკვევით უჩვენონ ეთერში კრემლის პანორამა.

ხეული კიბით 60 მეტრ სიმაღლეზე ავდიგარ მაცხოვრის კოშკში. სარკმლიდან დავინახეთ უზარმაზარი ლალის მზეთუნახავი. იქვე ახლოს კრემლის სხვა ვარსკვლავებია, ვარსკვლავები, რომლებიც დღისითაც და ღამითაც ანათებენ. ვარსკვლავები, რომლებიც მუდამ ანათებენ!

ქვემოთ კი, საფეხუროვანი ფიცარნაგის ახლოს, ჯარისკაცების ჯგუფი სამწყობრო მზადებას გადის. გამახსენდა კინოლენტი, რომელზეც აღბეჭდილია მაცხოვრის კოშკიდან მავზოლეუმამდე ყარაულის სრული გავლა. სხვათა შორის, ყარაულის მოძრაობა ჯერ კიდევ კრემლის შიგნით იწყება. გუშაგები და განმარინებელი მწყობრად მიაბიჯებენ ჯერ კიდევ მაცხოვრის კოშკის ჭიშკრამდე. აქ ნაბიჯი რამდენადმე უნდა შეანელონ. მაგრამ როგორც კი გასცდებიან ჭიშკარს, ჯარისკაცები კვლავ საპარადო ნაბიჯით მიდიან, მრავალრიცხოვან მაყურებელს აღფრთოვანებენ ამ საზეიმო ცერემონიით. მთელი გზა ზუსტად 2 წუთსა და 45 წამს გრძელდება. № 1 საგუშაგოზე საყარაულო სამსახურს ეწევა 12 საუკეთესო ჯარისკაცი.

კრემლში ყველაფერი გატყვეებს. მათ შორის იდეალური სიუფთავეც. ასუფთავებენ კრემლის მოედნებს, შესახვევებს, 11 კილომეტრ ტროტუარებს, ამ სამუშაოს მანქანები ასრულებენ.

სსრ კავშირის ჰიდრომეტეოცენტრმა, კრემლის ადგილობრივმა ჰიდრომეტეოსამსახურმა უკვე შეადგინეს ყრილობის მუშაობის ყველა დღის პროგნოზი. ვერც ყინვა, ვერც თოვლი, ვერც ლიპყინული, ვერც თოვლ-წყალი ვერავის ვერ მოუსწრებს მოემზადებელს. ყველაფერი მზად არის მუშაობისათვის.

სტუმრების მისაღებად მზად არის კრემლის დიდი სასახლე, საპორტალის პალატა, სსრ კავშირის ალმასის ფონდი... და, რაღა თქმა უნდა, თითოეული დელეგატი, საზღვარგარეთიდან ჩამოსული თითოეული სტუმარი ეწვევა მუზეუმს „ვ. ი. ლენინის კაბინეტი და ბინა კრემლში“.

ყრილობის გახსნის დღეს მნახველებს თვალწინ წარმოუდგებათ სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ლ. კერბელის ნამუშევარი — ბელადის ახალი ქანდაკება. იგი უკვე დადგმულია კრემლის ყრილობათა სასახლის სცენის სიღრმეში.

მრავალი პროფესიის წარმომადგენლებს აქ ახლა თავიანთი საზრუნავი აქვთ. აპარატურას ამოწმებენ ელექტრიკოსები, აკუსტიკოსები, შუქტექნიკოსები. შემოწმებულია კავშირგაბმულობა. ყრილობათა სასახლიდან ავტომატით შეიძლება გამოძახო ჩვენი ქვეყნის ყოველი ქალაქი, დაუკავშირდე პრაქტიკულად მსოფლიოს ქვეყნების ყველა დედაქალაქს. სინქრონულ თარჯიმანთა დახმარებით თოთხმეტ ენაზე „ილაპარაკებენ“ დარბაზში დადგმულ საკონფერენციო ჩამონტაჟებულ ფულტებზე. მზადდება საკდესის ჟურნალისტთა ბრიგადაც, რომელიც საბჭოთა და საზღვარგარეთის პრესისათვის თავიანთ რეპორტაჟებს ყრილობიდან პირველად გადასცემენ ეს ფულტები ელექტრონული ტექნიკის მეშვეობით...

საღამოს ჩაირთო მძლავრი პროჟექტორები. მათ გაანათეს კრემლის გალავანი, სასახლეები და კოშკები. განათება წინათაც იყო, მაგრამ ასეთი პირველად არის, ეს ნათურები ჰალოგენური ნათურებია, რომლებიც რბილად, თანაბრად აშუქებენ. მოსკოვრიეცკის ხიდიდან იშლება კრემლის ყველაზე დიდებული პანორამა. ასეთს ხილავენ მას მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები საღამოს 24 თებერვალს.

Ა. ᲑᲔᲚᲘᲙᲝᲕᲘ,
Ვ. ᲘᲢᲙᲘᲜᲘ,
(საკდესის კორ.).

ᲡᲐᲥᲛᲔ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲡ

ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲜᲐ თითოეული საფურაე ძრახის წველადობა წელიწადში სამი ათასი და მეტ კილოგრამამდე — ასეთი ამოცანა დაისახეს საზოგადოებრივი ჯოგის წლევანდელი გამოზამთრების დასაწყისში ბაკიჩითის სახელმწიფო სანაშენე მეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის მშრომელებმა, რომელსაც წარჩინებული მწველავი ნალო ანგელოზა ხელმძღვანელობს. ზახალგაზრდული კოლექტ

აგრომრეწვი: გარდაქმნის ეფექტიანობა

● კრედიტი აგრო-სამრეწველო კომპლექსს ● რა ქმნის სახსრებს ● შეამოწმე, მაგრამ დაეხმარე კიდეც ● წარმატების რკალი.

ახალი კარი შეიმატა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ასიგნებათა მუხლების ნუსხას: სახბანკმა კრედიტი გაუხსნა აგროსამრეწველო კომპლექსს. რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის პირველი ხარჯები დაკავშირებულია სუბტროპიკებში დაწყებულ საგაზფხულო მინდვრის სამუშაოებთან: შეძენილია ახალი ტექნიკა, მაღალხარისხოვანი თესლი და სანერგე მასალა, სხვა საჭირო რესურსები. ყველა ღონისძიების დაფინანსება ხდება არა ცალ-ცალკე ყოველი დარგის მიხედვით, რომლებიც სახელმწიფო კომიტეტს შემადგენლობაში შევიდნენ, არამედ მთელი აგრომრეწვის მიხედვით, რომელიც მიწის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი გახდა.

ცოტა რამ ისტორიიდან. აბაშისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკის სხვა რაიონებში შეძენილ აგროსამრეწველო ინტეგრაციის გამოცდილებას მოჰყვა 1983 წელს რესპუბლიკაში გაუქმებული სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებისა და სახსოფლტექნიკის ბაზაზე მართვის ახალი ორგანოს — სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შექმნა. დრომ დადასტურა ასეთი ნაბიჯის ეფექტიანობა. სახელმწიფო კომიტეტმა, რომელიც პასუხს აგებს რესპუბლიკაში მინდვრებისა და ფერმების პროდუქციის წარმოების საბოლოო შედეგებისათვის, ხელი შეუწყო სასურსათო რესურსების გადიდებას, მეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებას, პარტნიორთა კავშირურთიერთობის განვითარებას. მაგრამ კვლავ იგრძნობოდა გათიშულობა რესპუბლიკის იმ სხვა სამინისტროებსა და უწყებებს შორის, რომლებიც არ შესულან სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობაში. ფორმალურად ისინი გააერთიანა საკოორდინაციო საბჭომ, ფაქტობრივად კი ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას განსაზღვრელი კვლავ უწყებრივი პოზიცია იყო ხოლმე. საქმეს, როგორც წესი, წყვეტდნენ ისინი, ვინც სახსრებს აბანდებდა. განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და მისი გადამუშავების გათიშულობა.

— ეკონომიკისა და მისი მომიჯნავე დარგების აგრარული სექტორის ოპტიმალური ინტეგრაციის სურვილი დაედო საფუძვლად აგროსამრეწველო კომპლექსის დაფინანსებასაც, — თქვა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დ. დვალიშვილმა, — ამ თვალსაზრისით ახალ ამოცანათა გადაწყვეტის დაჩქარებას ხელს უწყობს რაიონულ რგოლსა და ყოფილ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტში შექმენილი ცენტრალიზებული ფინანსების გამოყენების გამოცდილება.

პარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. გუნავამ მიიყვანა ცენტრალიზებულ ფონდებში შეტანილი სახსრების მარჯვედ ხარჯვის ნიშანდობლივი მაგალითი. რამდენიმე წლის წინათ აქ წარმოიქმნა 1000 სული პირუტყვისათვის სასუქებელი მოედნის მშენებლობის საჭიროება. მარტო მეურნეობა ამ ამოცანას ვერ გადაწყვეტდა. გაერთიანებაში კი საკითხი სწრაფად და ადგილად გადაწყდა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების წევრთა რესურსების გამოუყენებლად. ამის შედეგად წელიწადზე ნაკლებ დროში ობიექტი საექსპლოატაციოდ გადაეცა. აქ ერთი პირუტყვის სადგომის ღირებულება ჩვეულებრივზე ოთხჯერ იაფი დაჯდა. წარმოების გაფართოებისა და განმტკიცების ცენტრალიზებული ფონდის ხარჯზე მოკლე დროში აშენდა მოუხდელი რძის შემცვლელის საამქროც, რამაც რაიონს საშუალება მისცა სახელმწიფოსათვის დამატებით ასობით ტონა პროდუქცია მიეყიდა.

როცა აბაშის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ო. ცომაია საქინფორმის კორესპონდენტებს ცენტრალიზებული ფონდების შექმნის მექანიზმზე ესაუბრებოდა, კაბინეტში ადგილობრივი ჩაის ფაბრიკის დირექტორის მოადგილემ. ცანავა შემოვიდა:

— ბატონო ოთარ, რემონტისათვის მასალები გვჭირდება — მინა, ფიურცლოვანი რკინა, საღებავი, უნდა დაგვეხმაროთ.

— რას ჰქვია დაგეხმაროთ? ეს ახლა ჩვენი საერთო საზრუნავია.

ოთარ ცომაიამ გადაფურცლა განაცხადი, რაღაც შეასწორა და მაშინვე გასცა საჭირო სიბეჭდები.

— რა თქმა უნდა, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებაში წინათაც დაინტერესებული ვიყავით ჩაის ფაბრიკის ზუსტი მუშაობით, — აგვიხსნა ო. ცომაიამ. — მაგრამ ეკონომიკურად გადამუშავებლების ტექნიკურ უზრუნველყოფაზე გავლენის მოხდენა არ შეგვეძლო, ვინაიდან მთელი ფონდები მთ რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტიდან ეძლეოდათ. ახლა, როცა ეს კომიტეტი სახაგრომრეწვში შევიდა და როგორც მისი განუყოფელი ნაწილი, ისე ფინანსდება, საჭირო აღარ არის ყველა შემთხვევაში თბილისში გამგზავრება, ყველა საკითხი ოპერატიულად წყდება ადგილზე.

თუ მთლიანად ქვეყანაში ფინანსისტებმა მხოლოდ ახლა მოჰკიდეს ხელი უშუალოდ აგროსამრეწველო კომპლექსს, როგორც ერთიან კომპლექსს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ჯერ კიდევ სამი წლის წინათ შეიქმნა აგროსამრეწველო დაფინანსების საკითხთა სამმართველო და თუმცა რესპუბლიკის დონეზე ერთიანად სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მხლოდ ქვეგანაყოფები ფინანსდებოდა, მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სხვა დარგების „მატერიალურ მდგომარეობას“ ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა ფინანსთა სამინისტრო. მაგრამ საკავშირო მასშტაბით მართვის ერთიანი სისტემა ჯერ არ იყო მიღებული, და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების

სურვილი და რეალობა

სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს და, საერთოდ, ამიერკავკასიის რკინიგზის მძიმეწონახან მემანქანეთა შორის გამორჩეულია ჯუმბერ ქორიძე.

საბჭოთა არმიის რიგებში მოქალაქეობრივი ვალის მოხდის შემდეგ სალოკომოტივო დეპოს მიაკითხა და ზეინკლის პროფესიის შესწავლის სურვილი გამოთქვა. ზეინკლობა მუშური საქმიანობის წამყვანი და მეტად საპატიო პროფესიაა, მაგრამ ჯუმბერს სხვა ჰქონია ჩაფიქრებული, — მემენქანეობა სდომებია...

მალე იგი ისე დაოსტატებულა, რომ სამაგალითო გამხდარა. მის მიერ ელმავალზე შეკეთებულ კვანძსა და ნებისმიერ დეტალს აღარ აკონტროლებენ — სრულ ნდობას უცხადებენ. მოვალეობისადმი ერთგულებას და თავდადებას მისი თავმდაბლობა, თანამოსაქმეებისადმი სათუთი, გულისხმიერი დამოკიდებულება და საზოგადოებრივი აქტიურობა ემატებოდა.

გაზშირდა ლაპარაკი იმაზე, რომ ჯუმბერისაგან კარგი მემანქანე დადგება, საოცარი რეაგირების უნარი აქვს და მემანქანეს ეს თვისება თანდაყოლილი უნდა ჰქონდეს. ლაპარაკს საქმეც მოჰყოლია. მემანქანის თანაშემწეობაში ოთხი ზამთარ-ზაფხული გასულა და მეხუთე წელს იგი ლოკომოტივის სრულუფლებიანი „პატრონიც“ გამხდარა.

ახლა უკვე რამდენიმე წელია საყოველთაოდ აღიარებული მემანქანეა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯუმბერ ქორიძე სიხარულს ვერ მალავს: საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე იგი ხკკს XXVII ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

რა „ტვირთით“ მიდის ჯუმბერ ქორიძე ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა დიდ ფორუმზე? მეთერთმეტე ხუთწლედის დავალება მემანქანემ გასული წლის მარტში შეასრულა და გეგმის გადამეტებით 19480 ტონა სახალხო-სამეურნეო საქონელი გადაზიდა. თან მიაქვს სოციალისტური ვალდებულების ტექსტი, რომელშიც ნათქვამია, რომ იგი მეთორმეტე ხუთწლედის გეგმას 1989 წლის პირველი მაისისათვის შეასრულებს, დაზოგავს 28 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას, დაზოგილი ენერგიით წაიყვანს 40 სატვირთო მატარებელს, გადაზიდავს სულ ცოტა 90 ათას ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთს, დაეხმარება ახალგაზრდებს დაოსტატებაში.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.
ბ. ჟიმერიძის ფოტო.

სურათზე: ჯ. ქორიძე.

სკკპ XXVII ყრილობის დელეგატები

განვიხილავთ პარტიის ყრილობისწინა დოკუმენტებს

სკკ XXVII ყრილობის შესახებ

მიზანშეწონილად მიმაჩნია

სკკპ წესდების პროექტში ნათქვამია: „რეკომენდაციის მომცემნი პასუხისმგებელნი არიან პარტიული ორგანიზაციების წინაშე რეკომენდებულთა პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებების დახასიათების ობიექტურობისათვის, ეხმარებიან მათ იდეიურ-პოლიტიკურ აღზრდაში“.

ჩვენი აზრით, ეს პუნქტი დაზუსტებას საჭიროებს. ხშირად პარტიაში შემსვლელნი თვითონ ირჩევენ რეკომენდატორს, მაგრამ ამისათვის უშუალოდ პარტიული ორგანიზაციაც იჩენს მზრუნველობას. თუ რეკომენდატორი ნებსით თუ უნებლიეთ დაუშვებს შეცდომას პარტიის წევრად შემსვლელთა ობიექტური დახასიათებისას, იგი უნდა შენიშნოს და აღკვეთოს პარტიულმა ორგანიზაციამ. ამიტომ, პარტიის წევრად შემსვლელთა ობიექტური დახასიათების მიცემისათვის ერთნაირად უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა რეკომენდატორსაც და პარტიულ ორგანიზაციასაც.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია ზემოაღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს ამგვარად: „პარტიული ორგანიზაციები და რეკომენდატორები პასუხისმგებელნი არიან რეკომენდებულთა პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებების დახასიათების ობიექტურობისათვის, ეხმარებიან მათ იდეიურ-პოლიტიკურ აღზრდაში“.

ჩვენი აზრით, ეს პუნქტი დაზუსტებას საჭიროებს. ხშირად პარტიაში შემსვლელნი თვითონ ირჩევენ რეკომენდატორს, მაგრამ ამისათვის უშუალოდ პარტიული ორგანიზაციაც იჩენს მზრუნველობას. თუ რეკომენდატორი ნებსით თუ უნებლიეთ დაუშვებს შეცდომას პარტიის წევრად შემსვლელთა ობიექტური დახასიათებისას, იგი უნდა შენიშნოს და აღკვეთოს პარტიულმა ორგანიზაციამ. ამიტომ, პარტიის წევრად შემსვლელთა ობიექტური დახასიათების მიცემისათვის ერთნაირად უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა რეკომენდატორსაც და პარტიულ ორგანიზაციასაც.

1. მთავარია საწარმოო ძალის როლის ზრდა

საზოგადოების განვითარებაში მეჩრმელ ადამიანთა გადამწყვეტი როლი ახალი ძალით დასტურდება. ისტორიის შემოქმედი ხალხის მასა დღეს თვისებრივად შეცვლილია მისი ინტელექტუალური და საერთო შემოქმედებითი პოტენციალის, სოციალური აქტიურობის, თვისიკენ შეგნების ზრდის კვალობაზე. კოლოსალურად გადიდდა მშრომელი ადამიანის — მთავარი საწარმოო ძალის უნარი, შესაძლებლობანი.

დღეს აუცილებელია სრულად გავითვალისწინოთ, რომ ადამიანი საერთოდ ბუნებრივ-ისტორიული პროცესის ამჩქარებელი, განვითარების განსაკუთრებული ფაქტორია თავისი უნარისა და საქმიანობის შემოქმედებითი ხასიათით. როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა, ბუნება არ აშენებს მანქანებს, არც ლოკომოტივებს, არც ელექტროტელეგრაფს, არც სელფაქტორებს და სხვ. ყოველივე ეს ადამიანის შრომის პროდუქტია, ადამიანის ნებისყოფის ორგანოებად ქცეული ბუნებრივი მასალაა.

საზოგადოებრივი განვითარების პროცესში ადამიანი სულ უფრო აშკარად წარმოგვიდგება ორ განზომილებაში: როგორც მოქმედი სუბიექტი, მთავარი საწარმოო ძალა და როგორც მიზნის ობიექტი, რომლის ინტერესებისათვის ხდება განვითარების აქტი. აქ ერთიანდება ადამიანის ფაქტორის ორი მხარე, წინაღმდეგობანი, რომელთა გადაჭრა ცხოვრების პროგრესს რეალურ ფაქტად აქცევს.

მთელი სოციალისტური საზოგადოების პრაქტიკა ადასტურებს, რომ ადამიანის როლი საერთოდ ზრდის ნიშნით ხასიათდება. ადამიანის ფაქტორის გაძლიერებას ობიექტურად განაპირობებს ის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ღრმა გარდაქმნები, რის აუცილებლობაც ობიექტურად მომწიფდა, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ აქტიური მიზანსწრაფული მოქმედებითი პროცესის, ყოველივე მოძველებულის გაახლებისათვის ნოვატორული ძიებითი საქმიანობის მეშვეობით. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ადამიანის ფაქტორის როლის გაძლიერება თანამედროვე ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალ ნიშნებთან.

ჯერ ერთი, იზრდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოვლისმომცველი, მარეგულირებელი ზემოქმედება საზოგადოების, განსაკუთრებით ეკონომიკის განვითარებაზე; მომწიფდა წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ნახტომი, მთელი საწარმოო პროცესის ტექნოლოგიური გადატრიალება, ახალ ტექნოლოგიურ წესზე — ავტომატიზებულ, რობოტიზებულ და კომპლექსურად მექანიზებულ პროცესებზე გადასვლა. ასეთ ვითარებაში რაოდენობრივთან შედარებით პრიორიტეტი ეძლევა თვისებრივ მხარეს, ძერებს; ობიექტურად გარდაუვალია საზოგადოებრივი კვლავწარმოების გადაყვანა უპირატესად ინტენსიურ გზაზე.

სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დიდმასშტაბიან ამოცანებთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი წარმოების ყველაზე ეფექტიანი წყაროებისა და საშუალებათა გამოყენებას. ამ პირობებში თვალსაჩინოვ გამოიკვეთა ადამიანის ფაქტორის როლი. პარტია დასახული ამოცანების წარმატებულ გადაწყვეტას უკავშირებს ადამიანის ფაქტორის როლის გაძლიერებას, — ნათქვამია სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში, — სოციალისტური საზოგადოება ეფექტიანად ვერ იფუნქციონირებს, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში არ მიაგნო მასებმ შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ახალ გზებს.

2. ადამიანის ზრდადი გავლენა

ადამიანის ფაქტორის ზრდადი გავლენა ეფუძნება ადამიანის ცოდნის, ინტელექტუალური ძალების, ენერგიის, ინიციატივის, ინტერესების, ფიზიკური ძალის, ოჯახის, ოჯახური ტრადიციების, ეროვნული ფსიქიკის, ეროვნული ენის, ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ფერისცვალების, ეროვნული ბედნიერების, ეროვნული ბედის, ეროვნული ბედისწერის, ეროვნული ბედისწერიერების, ეროვნული ბედისწერიერებისა, ეროვნული ბედისწერიერებისადმი, ეროვნული ბედისწერიერებისადმი ერთგულების, ეროვნული ბედისწერიერებისადმი ერთგულებისა, ეროვნული ბედისწერიერებისადმი ერთგულებისადმი, ეროვნული ბედისწერიერებისადმი ერთგულებისადმი ერთგულების, ეროვნული ბედისწერიერებისადმი ერთგულებისადმი ერთგულებისადმი ერთგულ

„საბოლოო“ სახლეგზისათვის

უფრო დაამშვენებს სახლებს კერამიკული ფილები, რომლებიც ვადამდე, სკკპ XXVII ყრილობისათვის აითვისა თბილისის საშენ მასალათა კომბინატმა. ეს ფილები ატმოსფერული ზემოქმედებისადმი მედეგია. წელს მშენებლები მიიღებენ 150 ათას კვადრატულ მეტრზე მეტ ამ საჭირო პროდუქციას.

კომბინატის წარმოების მოცულობა წინა ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით ერთიორად გაიზარდა. წელს აქ გამოუშვებენ ცხრა მილიონი მახეთის ნაწარმს. სიმძლავრის გადიდებას მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო იმან, რომ საწარმოს კოლექტივი გადავიდა მეურნეობრიობის ახალ პირობებზე. შექმნილია გამჭოლი კომპლექსური ბრიგადები.

ახლებურად პირველმა დაიწყო შრომა კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც სათავეში უდგას სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მარმარილო-მოზაიკის ფილების საამქროს გამპრიალებელი ე. შუბითიძე.

— საწარმოო დავალების ყოველდღიურად 115-120 პროცენტით შესრულება ბრიგადისათვის ნორმა გახდა, — თქვა მან საქონფორმის კორესპონდენტთან.

გამჭოლი ბრიგადების შექმნა ჯერ კიდევ შარშან დაიწყო, როცა ეს საკითხი ფიცარურად განიხილეს სპეციალისტთა საბჭოს სხდომებზე, შეასრულეს ახსნა-განმარტებითი მუშაობა კოლექტივში.

შემდეგ ექსპერიმენტის სახით შეიქმნა ერთიანი განწესით მომუშავე გამჭოლი ბრიგადა, რომლის ხელმძღვანელი გახდა ე. შუბითიძე. ბევრი საკითხის გადაწყვეტა — შრომის ანაზღაურებით დაწყებული და მუშათა მიღებითა და დათხოვნით დამთავრებული, შევიდა ბრიგადის საბჭოს კომპეტენციაში, რომელსაც თვით კოლექტივი ირჩევს და მისდამი ანგარიშვალდებულია. მაგალითად, მიიღებს რა შეკვეთას, ბრიგადის საბჭო ანაწილებს სამუშაოს. გამოიწერება ერთი განწესი ყველასათვის. მაგრამ გათანაბრება არ არის. თითოეულის წვლილი დავალების შესრულებაში შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტიო განისაზღვრება. კოეფიციენტი კი გამოჰყავთ ინდ კვალობაზე, თუ რა კვალიფიკაცია აქვს მუშას, როგორ იცავს შრომისა და ტექნოლოგიურ დისციპლინას, როგორია სპორო რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

— მეთორმეტე ხუთწლედში მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე ეკონომიკის ყველა დარგის გადაყვანა გათვალისწინებულია ძირითად მიმართულებათა პროექტით, — თქვა კომბინატის დირექტორმა ბ. ბუცხრიკიძემ. — სხვა პირობებთან ერთად ისინი ითვალისწინებენ აგრეთვე სახელშეკრულებო მიწოდებათა ზუსტ დაცვას. წინათ ცალკეულ სახეობათა პროდუქციის გაგზავნის დავალებათა შეუსრულებლობას საწარმოსათვის არ მოსდევდა ეკონომიკური შედეგები, თუ იგი ასრულებდა მთლიანად რეალიზაციის გეგმას. ახლა კი სახელშეკრულებო ვალდებულებებით გათვალისწინებულ მიწოდებათა ჩაშლა მიჩნეულია პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შეუსრულებლობად და უარყოფითს გავლენას ახდენს მატერიალური წახალისების ფონდში გადარიცხვაზე. ეს დისციპლინიანს ხდის ყველას —მუშით დაწყებული და ხელმძღვანელით დამთავრებული, აიძულებს მათ იმუშაონ რიტმულად, მწყობრად. სწორედ ეს მოითხოვა ყველასგან საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ.

შრომის ზეიმი

გეგეჭკორში, მდინარე ინჩჩხიას პირას გაიმართა ტრადიციული შრომის ზეიმი. რაიონის მშრომელებთან ერთად ესწრებოდნენ რესპუბლიკის ქალაქებიდან და მეზობელი რაიონებიდან მოწვეული სტუმრები.

შრომის ზეიმზე საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. მოწეულიამ დამსწრეთ გულთბილად მიულოცა წარმატებები, რომლებსაც რაიონის მშრომელებმა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში მიაღწიეს, გააცნო მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის ამოცანები.

შრომის ზეიმის მონაწილეებმა დიდების მემორიალის გარშემო ტერიტორიაზე საფუძველი ჩაუყარეს კულტურისა და დასვენების პარკის მშენებლობას, იმავე დღეს დაიწყო რაიონული ცენტრის შემოვლითი გზის მშენებლობაც.

რაიონის სტადიონზე გაიმართა დღეი.

შრომის ზეიმის მონაწილეებმა კინოთეატრში ნახეს ახალი ქართული მხატვრული ფილმი „ნეილონის ნაძის ხე“.

ალ. ანდრიაძე,
„კომუნისტის“ კორ.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს განაყოფიერების უფროსი ამხ. ლიუბოვ კონსტანტინეს ასული **ნაზაძე** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **საპატიო სიგელით.**

18 თებერვალი ● საქართველო

ინტერვიუში

ფაქტები • მოვლენები

მზარდი საერთაშორისო მხარდაჭერა

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გ. ჰუსაკის გამოსვლა

პრაღა. ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილება, ყველა საერთაშორისო პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტა დღევანდელობის უცილობელი მოთხოვნაა, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გ. ჰუსაკმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პრაღის საქალაქო ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე გამოსვლისას.

პლანეტის მთელ რიგ რაიონებში, თქვა ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელმა, ღვივის სამხედრო კონფლიქტების ნაპერწკალი, მთელ მსოფლიოშია დახვავებული მასობრივი მოსპობის იარაღი, რომელიც განადგურებას უქადის კაცობრიობის ცივილიზაციას. საბჭოთა კავშირმა ცხადყო პლანეტის მომავლისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა და წამოაყენა ფართო მასშტაბის პროგრამა, რომლის მიზანია შემცირდეს და მთლიანად მოისპოს ბირთვული და ქიმიური იარაღი 2000 წლისათვის. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ცალკეული წრეები სხვადასხვა საბაბით ცდილობენ ეჭვქვეშ დააყენონ ეს რეალისტური წინადადებანი და თავი აარიდონ კონკრეტულ პასუხს. ისინი კვლავინდებურად ისწრაფვიან მსოფლიო ბატონობას, ხოლო შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს არ სურს უარი თქვას უდიდეს მოგებაზე, რომელიც მისთვის მოაქვს გამალებულ შეიარაღებას.

ჩეხოსლოვაკიელ ხალხს კარგად ესმის, თუ რაოდენ ღრმად ეხება ომისა და მშვიდობის საკითხები მის საარსებო ინტერესებს. ამიტომ იგი მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს: ჩვენი ისტორიის ტრაგიკული გამოცდილება და მსხვერპლი, რომლის ფასადაც დაგვიჯღა ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, შეგვახსენებენ, რომ მხოლოდ საბჭოთათან და სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყანასთან კავშირით შეეძლებთ უზრუნველვყოთ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშვიდობიანი განვითარება.

შეგვიძლია კმაყოფილებით დავადასტუროთ, რომ სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული წინადადებანი მზარდ საერთაშორისო მხარდაჭერას პოულობს. მთელ მსოფლიოში მტკიცდება რწმენა, რომ საერთაშორისო უშიშროების საკითხები უნდა გადაწყდეს იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებსაც საბჭოთა კავშირი აყენებს. ეს გვისახავს იმედს, რომ შეეძლებთ თავიდან ავიცილოთ ბირთვული საფრთხე, უზრუნველვყოთ კაცობრიობის მშვიდობიანი მომავალი, თქვა დასასრულ ორატორმა.

● იაპონია

პანიკა სავალუტო ბირჟაზე

ტოკიო. უკვე რამდენიმე თვეა ტოკიოს სავალუტო ბირჟაზე არ ცხრება ციებ-ცხელება, რომელიც იაპონელ ბიზნესმენებს შორის პანიკად გადაიქცა. დოლარის კურსი სწრაფად ეცემა — ახლა ტოკიოში დოლარში მხოლოდ 179 იენს იძლევიან. უკანასკნელ შვიდ წელეწადში ამ არნახულმა დონემ სერიოზული პრობლემები შეუქმნა იაპონელ მეწარმეებს, რომლებიც აქამდე მეტოქეებს საერთაშორისო ბაზრებზე ავიწროვებდნენ თავიანთ პროდუქციაზე უფრო დაბალი ფასების მეოხებით. იენის მკვეთრი გაძვირება მრავალ კომპანიას ემუქრება უზარმაზარი ზარალით. როგორც იაპონიის ეკონომიკური დაგეგმვის სამმართველოს მიერ ამას წინათ მოწყობილმა გამოკვლევამ ცხადყო, პრაქტიკულად ყველა ფირმა, რომელთა საექსპორტო პროდუქციის წილი 20 და მეტ პროცენტს შეადგენს, ემზადება დიდი დაქვეითებისათვის და წინასწარ ამცირებს საზღვარგარეთ გასატანი საქონლის გამოშვებას.

თავდაპირველად იაპონიამ მხარი დაუჭირა ვაშინგტონის მიერ თავს მოხვეულ გადაწყვეტილებას უარი ეთქვა დოლარის ხელოვნურად გაზრდილ კურსზე. ოფიციალურ ტოკიოში იმედი ჰქონდათ, რომ ეს გამოიწვევდა იაპონიასთან ვაჭრობაში ამერიკის დეფიციტისა და ორი ქვეყნის მწვავე სავაჭრო-ეკონომიკური წინააღმდეგობის შენელებას. მაგრამ ახლა ცხადი გახდა, რომ იენს გაძვირება იაპონიის კიდევ უფრო საშინელ ლახვარს სცემს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების პროტექციონისტულ ღონისძიებათა საფრთხე.

● ნიკარაგუა

საზარელი დანაშაული

მანაგუა. საზარელი დანაშაული ჩაიდინეს სომოსელმა არამზადებმა, რომლებიც ნიკარაგუაში შეგზავნა ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ. მათ დაარბიეს სრულიად უდანაშაულო ადამიანები ჩრდილოეთ სასაზღვრო სოფლის სომოსტილიოს ახლოს, მოკლეს სამი ქალი და შვიეცარიის მოქალაქე მაურისიო დემიერი. სამი წლის განმავლობაში ეს 30 წლის ინტერნაციონალისტი მუშაობდა ნიკარაგუაში. ეხმარებოდა ნიკარაგუელებს გლეხთა კოოპერატივების ჩამოყალიბებაში. დაქირავებულები ჩაუსაფრდნენ და თავს დაესხნენ ავტომანქანას, რომელშიც ქალები და ბავშვები იმყოფებოდნენ. ბანდიტებმა იცოდნენ ეს მაგრამ ავტომანქანას დაუშინეს ხელყუმბარები და ავტომატის ცეცხლი.

● ნიგერია

დასავლეთის მაქინაციები

ლაგოსი. დასავლეთის საქმიანი წრეების მაქინაციები განვითარებულ სახელმწიფოებში ხელს უშლიან ქმედითი ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას, განაცხადა ნიგერიის შეიარაღებული ძალების მმართველი საბჭოს წევრმა ო. ე. უკივემ. ქალაქ კადუნაში საერთაშორისო სავაჭრო ბაზრობის გახსნაზე გამოსვლისას მან თქვა, რომ ნიგერიის სახელმწიფოდან მტაცეა ვალუტის მიღებისათვის უცხოეთის მონოპოლიები მიმართავენ კონტრაქტებისა და გადაცემული ტექნოლოგიის ღირებულების ხელოვნურ გადიდებას, ქვეყანას თავს აბეზეურ არასაჭირო და უსარგებლო საქონლის მიწოდებას.

დასავლეთის მრეწველობაგანვითარებული ქვეყნები პროტექციონისტულ დაბრკოლებებს უქმნიან ტრადიციულ საექსპორტო საქონელს, რომელიც აფრიკიდან მიდის მსოფლიო ბაზარზე, თქვა ნიგერიის ხელმძღვანელობის წევრმა. ამ პირობებში, აღნიშნა უკივემ, ნიგერიის წინაშე დასახულია სოფლის მეურნეობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნათა მთლიანი დაკმაყოფილების, ნავთობის ექსპორტისაგან ეკონომიკის დამოკიდებულების შემცირების, ნამდვილად მრავალდარგოვანი მეურნეობის შექმნის მიზნით.

კრესპ კლასტურებს

შეცდომის ფასი

ახალი ფაქტები „ჩელენჯერის“ კატასტროფასთან დაკავშირებით

ნიუ-იორკი. კოსმოსური ხომალდის „ჩელენჯერის“ კატასტროფის გარემოების გამოძიების დროს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება, ცნობილი ხდება ახალი ფაქტები, რომლებიც მოწმობს, რომ ამერიკის კოსმოსური პროგრამის ხელმძღვანელები ისწრაფოდნენ დაეჩქარებინათ მისი შეხრულება სამხედრო და კომერციული მოსაზრებით და უგულებელყოფდნენ ფრენის უსაფრთხოებას.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იმოწმებს აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს ოფიციალურ დოკუმენტებსა და ამ უწყების ყოფილ თანამშრომლებს და იუწყება, რომ ჯერ კიდევ 1983 წელს აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ განაკარგულება გასცა ხომალდების მყარსათბობიანი ამჩქარებლების საერთო წონა შეეტანირებინათ მათი შემონაკერების სისქის შემცირების გზით და ერთდროულად გაედიდებინათ მათი ძრავების სიმძლავრე. ვარაუდობდნენ, რომ ეს გაზრდილი დიამეტრის ორგვლივ ორბიტაზე გაყვანისას კოსმოსური ხომალდების მეტი სასარგებლო დატვირთვის შესაძლებლობას. ამავე დროს შემცირდებოდა „სპეის შატლის“ პროგრამის ღირებულება.

მაგრამ ამ ცვლილებებმა, აღნიშნავენ აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს ყოფილი სპეციალისტები, გამოიწვია ის, რომ ხომალდების გაშვებისას საშიშრად გაიზარდა დატვირთვა მყარსათბობიანი ამჩქარებლების სქელების შორის წრიულ გამკვრივებლებზე, რომელთა საიმედოობა უკვე მანამდე იწვევდა კოსმოსური პროგრამის ხელმძღვანელთა წუხილს.

აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულ სამმართველოს კომპლექსურად უნდა შეეფასებინა მთელი კოსმოსური ხომალდის საქმიანობა, მაგრამ მან როგორღაც შეცდომა დაუშვა, მოჰყავს „ნიუ-იორკ ტაიმსს“ ერთ-ერთი ექსპერტის სიტყვები.

ვ. ი. მაისურაძე

ერეკვნული ბიბლიოთეკა

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი, 1946 წლიდან სკკპ წევრი ვლადიმერ ივანეს ძე მაისურაძე.

ვ. ი. მაისურაძე დაიბადა 1923 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში, მოსამსახურის ოჯახში. 1941 წელს, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, სადაც მძიმედ დაიჭრა, რის გამოც არმიიდან დემობილიზებული იყო.

1945 წელს ვ. ი. მაისურაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, იქვე ჩაირიცხა ასპირანტურაში და მიავლინეს მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტში, სადაც 1951 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1951-1954 წლებში ვ. ი. მაისურაძე მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სისხლის სამართლის კათედრის ასისტენტად, უფროს მასწავლებლად, დოცენტად.

1954 წელს ვ. ი მაისურაძე დაინიშნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფროს კონსულტანტად, ხოლო 1958-1962 წლებში იგი მუშაობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგედ.

1962 წელს ვ. ი. მაისურაძე აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ, ხოლო 1970 წელს დაინიშნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად.

1976 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ვ. ი. მაისურაძე ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს.

ვ. ი. მაისურაძე ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას, სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის XXII-XXVII ყრილობების დელეგატად, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრად, საქართველოს სსრ რამდენიმე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

საქმიანობის ყველა უბანზე ვ. ი. მაისურაძე დიდი პასუხისმგებლობით, საქმის ცოდნითა და ენერგიით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობებს. რესპუბლიკის სამართალდაცვითს ორგანოებში ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე იგი აქტიურად და ნაყოფიერად ემსახურა სოციალისტური კანონიერების, მართლწესრიგის, სამეურნეო დისციპლინის განმტკიცების საქმეს, ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი — მონოგრაფიები და წერილები საბჭოთა სამართლის აქტუალურ საკითხებზე.

ვ. ი. მაისურაძე თავის პროფესიულ და ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ფართო ერუდიციას დღენიადაგ ახმარდა ახალგაზრდა სპეციალისტების სათანადო მომზადებას, მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლებას, კომუნისტური მორალის პრინციპების დამკვიდრების საქმეს. გულისხმიერებით და თვმდაბლობით ვ. ი. მაისურაძემ დამსახურებულად მოიპოვა რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა აქტივის პატივისცემა და ავტორიტეტი.

პარტიამ და სახელმწიფომ ღირსეულად დააფასეს ვ. ი. მაისურაძის მოღვაწეობა. იგი დაჯილდოებული იყო ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, პირველი ხარისხის დიდი სამამულო ომის ორდენით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით.

ვ. ი. მაისურაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ჯ. ი. პაპიაშვილი, პ. გ. გილაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ვ. ი. ტერეზელოვი, ე. ვ. ანისიფოვი, ბ. ა. ანდრონიკაშვილი, ბ. ა. ანჩიბაძე, ბ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ზ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზიანი, ნ. რ. საჯაია, ო. ვ. მელქაძე, ბ. ბ. ბუბაბარიძე, ი. ვ. ოსტანი, შ. ვ. გოგრგოძე, ა. გ. ქარანაძე, ვ. ა. რაზმაძე, ა. ა. შუშანაშვილი, ჯ. ტ. ჯალაღანია.

ჰაერის კომფორტისაკენ

ეროვნული კოსმოსური კავშირის ცენტრი. 17 თებერვალი. (საკინფო). წელიწადზე მეტია ფრენას განაგრძობენ „ვეჰა-1“ და „ვეჰა-2“ ავტომატური საპლანეტთშორისო სადგურები, რომლებიც განკუთვნილია პლანეტა ვენერას და ჰალეის კომეტის კვლევისათვის. 1985 წლის ივნისში პლანეტა ვენერას ზედაპირისა და ატმოსფეროს კვლევის მოწყობის შემდეგ სადგურები გადაყვანილ იქნა ტრაექტორიაზე ჰალეის კომეტასთან შესახვედრად, რომელიც მზეს უახლოვდება. დღეისათვის კოსმოსური აპარატები დადამოწმეს 155 მილიონ კილომეტრზე მეტი მანძილითა არიან დაშორებული.

ფრენის დროს „ვეჰა-1“ და „ვეჰა-2“ სადგურებთან რეგულარულად ეწყობა რადიოკავშირის სეანსები, რომელთა დროს განისაზღვრება მათი ტრაექტორიების პარამეტრები, აგრეთვე მოწმდება სამსახურებრივი სისტემებისა და სამეცნიერო ხელსაწყოების მუშაობა. 1985 წლის დეკემბერში და 1986 წლის იანვარში ავსტრიის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებმა და სპეციალისტებმა განახორციელეს კოსმოსური აპარატების ფუნქციონირების სრული კონტროლი.

ჰალეის კომეტასთან შეხვედრის უზრუნველსაყოფად 10 თებერვალს განხორციელდა „ვეჰა-1“ სადგურის მომრაობის ტრაექტორიის კორექცია. „ვეჰა-2“ სადგურის მოძრაობა მიმდინარეობს გაანგარიშებულთან დაახლოებული ტრაექტორიით, და ამტომ მისი ტრაექტორიის კორექცია არ არის გათვალისწინებული.

12 თებერვლიდან დაიწყო ოპერაციები უნიკალური ექსპერიმენტის საბოლოო ეტაპისთვის „ვეჰა“ სადგურების მოსამზადებლად. დედამიწიდან მიცემული ბრძანებებით სატრანსპორტოდან სამუშაო მდგომარეობაში გადაყვანილი ავტომატური სათვალთვალო პლატფორმები და სამუშაოდ მომზადებული სატელევიზიო სისტემები. შეზუსტებისა და დაკალიბრების მიზნით 14 თებერვალს განხორციელდა „ვეჰა-1“ სადგურის სატელევიზიო სისტემის იუპიტერზე დამიზნება. მიღებულია ფერადი ფოტოსურათები პლანეტისა, რომელიც სადგურს 807 მილიონი კილომეტრით არის დაცილებული. კოსმოსიდან მიღებულ ინფორმაციას ამუშავებენ და სწავლობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტში, აგრეთვე სხვა საბჭოთა და საზღვარგარეთულ სამეცნიერო ცენტრებში, რომლებიც ჰალეის კომეტის კომპლექსის კვლევაში მონაწილეობენ.

ტელემეტრიული გაზომვების მონაცემების თანახმად, სპლანეტთშორისო სადგურების საბორტო სისტემები და სამეცნიერო ხელსაწყოები ნორმალურად მუშაობენ. 6 და 9 მარტს „ვეჰა-1“ და „ვეჰა-2“ სადგურები დაახლოებით 8,5 და 7,5 ათას კილომეტრზე ჩაუვლიან შესაბამისად ჰალეის კომეტის ბირთვს.

წიგნის თარო

მოგვითხრობს მხედართმთავარზე

ელვერ კუპატაძის მონოგრაფია „გენერალი ჩანჩიბაძე“ მეცნიერულ-პოპულარული ხასიათისაა. ავტორს უამრავი საარქივო მასალა მოუპოვებია და დამუშავებია, რომელთაგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივში, საქართველოს არქივებში დაცული მასალები, პ. ჩანჩიბაძის ოჯახის წევრების, მეგობრებისა და ნათესავების მოგონებები, პრესის მასალები, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობები, გამოჩენილი საბჭოთა მხედართმთავრების (ა. ვასილევსკის, ი. ბაგრამიანის, დ. ლელუშენკოს და სხვების) მოგონებები. ყოველივე ამან შესაძლებლობა მისცა ავტორს სრულყოფილად შეესწავლა პ. ჩანჩიბაძის პიროვნება, გაეანალიზებინა მისი სამხედრო მოღვაწეობა.

ნაშრომში თავდაპირველად ვეცნობით პ. ჩანჩიბაძის ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებს, პირველ საბრძოლო ნათლობას იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლებში. დიდი სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე პ. ჩანჩიბაძე მეთაურობდა ყარაბ 107-ე მოტომსროლელ დივიზიას, შემდეგ მე-13 გვარდიულ მსროლელ კორპუსს და ბოლოს მე-2 გვარდიულ არმიას. ამასთან დაკავშირებით დიდძალ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით ე. კუპატაძე გვიხსნიდა ვ. ჩანჩიბაძის უნარიანი მეთაურობით სამხედრო შენაერთების მოქმედებას გერმანელ-ფაშისტთა ჯარების გასანადგურებლად მოსკოვთან და სტალინგრადთან, ყირიმის, საბჭოთა ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიებზე გამართულ ბრძოლებში.

ე. კუპატაძე პ. ჩანჩიბაძისადმი დაკვეთდებარებული შენაერთების მონაწილეობას ყველა ოპერაციაში არა მარტო დაწვრილებით აგვიწერს, არამედ განიხილავს მას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე შექმნილ საერთო ვითარებასთან კავშირით.

როგორც ცნობილია, 1944 წლის მაისში პ. ჩანჩიბაძე მე-2 გვარდიული არმიის სარდლად დანიშნეს. ამასთან დაკავშირებით ე. კუპატაძე აღნიშნავს: ასეთი სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების მქონე გვარდიული არმიის სარდლად დანიშნეს არა მარტო პ. ჩანჩიბაძისადმი დიდი ნდობის გამოცხადება იყო, არამედ მისი მხედართმთავრული ტალანტის აღიარებაც.

წიგნში მრავალი საინტერესო ეპიზოდია ქართველი, რუსი და საერთოდ საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის შესახებ. ნაშრომს წითელ ზოლად გასდევს საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმი და თავდადება, გამარჯვების ფასი რწმენა, მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ნდობა და სიყვარული.

ლ. დოლიძე.

ირან-ერაყის კონფლიქტი:

ფიცხელი ბრძოლები გრძელდება

ბაღდადი. ფრონტის სამხრეთ უბანზე, სადაც ირანის ჯარები ინარჩუნებენ პლაცდარმს ერაყის ქალაქ ფაოს რაიონში, გრძელდება ფიცხელი ბრძოლები. ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის მორიგ კომუნიკეში თქვენამია, რომ ერაყის ჯარები ავითარებენ შეტევას ცენტრალური და სამხრეთის მიმართულებით და უკან ახევინებენ მოწინააღმდეგეს, სახმელეთო ჯარების მოქმედებას აქტიურად უჭერს მხარს ერაყის ავიაცია, რომელმაც წინა დღეს ამ რაიონში 376 საბრძოლო გაფრენა მოაწყო. ამის შედეგად გაანადგურებულია მოწინააღმდეგის 6 ხომალდი, 17 საბრძოლო კატარღა და სხვა სამხედრო ტექნიკა. კვლავ დაბომბეს ირანის ნავთობის კომპლექსი ენენგის რაიონში. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

უცქინასკნელ საკათს

ნიუ-იორკი. შვიდი არაბული სახელმწიფოსა და არაბული ქვეყნების ლიგის თხოვნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დაიწყო ირანსა და ერაყს შორის შეიარაღებულ შეტაკებათა ესკალაციის განხილვა. უშიშროების საბჭოს მიერ მოწყობილი კონსულტაციების შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა მხარეებს მოუწოდა შეწყვიტონ შეიარაღებული შეტაკებანი, რათა ხელი შეუწყონ ამ გაჭიანურებული და სისხლისმღვრელი კონფლიქტის მოსაწესრიგებლად გამიზნული ღონისძიებების განხორციელებას. უშიშროების საბჭოს წევრების სახელით მისმა თავმჯდომარემ მხარი დაუჭირა ამ მოწოდებას.

მოწინააღმდეგე ამაოდ ცდილობდა კონტრშეტევა მოეწყო ქალაქ ბასრის აღმოსავლეთით მდებარე უბანზე. ბრძოლების დროს ამ რაიონში დახოცეს 457 ირანელი ჯარისკაცი, მწყობრიდან გამოიყვანეს მნიშვნელოვანი რაოდენობის სამხედრო ტექნიკა, ხელთ იგდეს იარაღისა და აღჭურვილობის დიდი პარტიები. ერაყის საჰაერო თავდაცვის ძალებმა ჩამოაგდეს ირანელთა ორი თვითმფრინავი და ვერტმფრინავი.

ერაყის ჯარებმა აგრეთვე ჩაშალეს ირანელთა ცდა კონტრშეტევა მოეწყოთ მაჯუნის კუნძულზე.

ნიკოზია. როგორც ირანს (ირანი) საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ირანის ჯარები განაგრძობენ შეტევას უმ-ყასრის მიმართულებით. 16 თებერვალს მათ 800 კვადრატულ კილომეტრამდე გააფართოეს დაპყრობილი პლაცდარმი ფაოს რაიონში. 2,5 ათასზე მეტი ერაყელი სამხედრო მოსამსახურე დახოცეს. როგორც სააგენტო ადასტურებს, მას შემდეგ, რაც ირანმა შეტევა დაიწყო, დახოცილი და დაჭრილია მოწინააღმდეგის 13.200 ჯარისკაცი, ჩამოგდებულია ერაყის 29 თვითმფრინავი.

ლიბანი

არბევენ მშვიდობიან მოსახლეობას

ბეირუთი. ისრაელი ოკუპანტები ტეროროს მეშვეობით ცდილობენ სამხრეთ ლიბანის მოსახლეობა აყაროს მშობლიური ადგილებიდან. ყოველდღიური საარტილერიო ცეცხლის გამო თითქმის ყველა მცხოვრები იძულებული იყო დაეტოვებინა სოფელი ქფარ-რუმანი და გადასახლებულიყო უფრო უსაფრთხო რაიონებში. გაზეთ „ას-საფირის“ მონაცემებით, მოსახლეობა ტოვებს სხვა დასახლებულ პუნქტებსაც, რომლებიც განლაგებულია სამხრეთ ლიბანში ოკუპანტების მიერ შექმნილი ეგრეთ წოდებული „უშიშროების სარტყლის“ საზღვრის გაყოლებაზე. მაგრამ იმთაც, ვინც დარჩა, ინტერვენტები და მათი ადგილობრივი დაქირავებულნი მოსვენებას არ აძლევენ. 16 თებერვალს დამსჯელები შეიჭრნენ ქფარ-რუმანში და კვლავ დაარბიეს იქ მოსახლეობა. დამპყრობლებმა მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრება მოაწყვეს სოფელ აინატაშიც.

საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს აგრეთვე სამხრეთ ლიბანის არაბ-სლიმის, ჯბაას, ჯარუპისა და სხვა დასახლებულ პუნქტებს.

კვლავ დაძაბული ვითარებაა ლიბანის დედაქალაქში. გრძელდებოდა სროლა და საარტილერიო ცეცხლი იმ ხაზის გაყოლებაზე, რომელიც ბეირუთს დასავლეთისა და აღმოსავლეთის სექტორებად ყოფს. ამის შედეგად ორი კაცი დაიღუპა, 13 დაიჭრა.

ფოტოფაქტი

ბეირუთის რადიოს ცნობით, იმ რაიონებში, სადაც ქრისტიანული მოსახლეობა სჭარბობს, ფართოვდება მეტოქე მხარეების შეტაკებათა მასშტაბი. მათ მოიცვეს სანაპირო ქალაქი დაბეიე. ჩაკეტილია ბეირუთის დასავლეთ და აღმოსავლეთ სექტორების შემაერთებელი გზები. ბეირუთის ქუჩები ამ დღეებში (სურათზე მარცხნივ).

დაძაბული ვითარებაა აგრეთვე დასავლეთ ბეირუთის სამხრეთ გარეუბნებში გალავგებულ პალესტინელთა ბანაკების რაიონში. აღგილობრივ პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ვითარება გაამწვავა ისრაელისა და მისი ადგილობრივი აგენტურის ხრიკებმა, რომლებიც ცდილობენ ჩაშალონ ლიბანში ვითარების სტაბილიზაციის პროცესი. სურათზე (მარჯვნივ): დასავლეთ ბეირუთის მცხოვრები გარბის თავშესაფარში.

აპ-საპდესის ფოტო.



წინასწარ დაგეგმილი აქცია

საფრანგეთის ინტერვენცია ჩადში

პარიზი. ჩადში საფრანგეთის მზარდმა შეიარაღებულმა ინტერვენციამ ცენტრალურ აფრიკაში უალრესად საშიში ვითარება შექმნა. როგორც ფრანს პრესის საგენტო იტყობინება

მოსკოვური დღიურები

საერთაშორისო გამოფენაზე

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე, პავილიონში „საბჭოთა კავშირის სამომხმარებლო კოოპერაცია“, მოეწყო ბავშვთა ნახატების საერთაშორისო გამოფენა დევიზით: „მსოფლიო ნორჩი მხატვრის თვალით“...

ვერნისაჟზე წარმოდგენილია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იუგოსლავიის, დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, დანიის, ნორვეგიის, პოლონეთის, ფინეთის, საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის ბავშვთა ქმნილებები.

გამოფენამ უკვე მოიარა ინგლისი და სკანდინავიის ქვეყნები, მალე კი იგი ჯერ სოციალისტურ ქვეყნებში იმოგზაურებს, მერე საფრანგეთში...

ამ გამოფენაზე წარმოდგენილია ნორჩი ქართველი მხატვრების დ. ხუციშვილის, მ. ჩიხლაძის და თ. გელენიძის ნამუშევრები.

მიეძღვნა მოცარტს...

მოსკოვის მუსიკალურ ცხოვრებას, რომელსაც ზამთრის თვეებში თავისებური ელფერი ეძლევა, განუმეორებელი ბრწყინვალება და მოახლოებული გაზაფხულის სურნელება შემატა სალომამ, რომელიც პ. ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ჩვენი სახელოვანი თანამემამულის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ელისო ვირსალაძის მონაწილეობით.

კონცერტში მონაწილეობდნენ აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ტ. ნიკოლაევა, სპეციალიზებული სამუსიკო სკოლის VII კლასის მოსწავლე ნ. ლუგანსკი, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი, ლიტვის სსრ კამერული ორკესტრი (დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი ს. სონდეცკისი).

I განყოფილებაში შესრულდა მოცარტის კონცერტი № 13 ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის დო მაჟორი. სოლისტი — ე. ვირსალაძე.

II განყოფილებაში აჟღერდა მოცარტის კონცერტი სამი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის ფა მაჟორი. სოლისტები: ტ. ნიკოლაევა, ე. ვირსალაძე, და ნ. ლუგანსკი.

ეს შედეგი მოცარტმა 1776 წელს შექმნა. შემსრულებლებმა ჩინებულად გამოკვეთეს მისი დიზაინი, ამაღლებული ხასიათი. შემდეგ ტ. ნიკოლაევამ და ე. ვირსალაძემ შეასრულეს კონცერტი ორი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის მი ბემოლ-მაჟორი.

საღამოს დიდი და დამსახურებული წარმატება ხვდა...

უკრავს

ᲔᲗᲔᲠ ᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის ე. ანჯაფარიძის მონაწილეობით.

ე. ანჯაფარიძეს კარგად იცნობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთ. საყოველთაო აღიარება მოუტანა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პიანისტს პ. ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის სპეციალური წოდებამ. 1976 წელს შორეულ კანადაში ეთერმა პირველი პრემია და მაყურებელთა დიდი სიმპათია მოიპოვა. „პატარა, მომხიბლავმა ფერიამ საქართველოდან მოაჯადოვა კანადელები. ანჯაფარიძემ დიდი აღმაფრენით შეასრულა ბეთჰოვენის და სკარლატის ნაწარმოებები, ბრავო!“ — ასე წერდნენ ქ. მონრეალის გაზეთები. ნამდვილ ტრიუმფად გადაიქცა ჩვენი თანამემამულისათვის საგასტროლო ტურნე კანადის ქალაქებში ისეთ ორკესტრებთან, როგორიც არის ლონდონის სიმფონიური, მონრეალის სიმფონიური და ხელოვნების ეროვნული ცენტრის სიმფონიური ორკესტრები...

პირველ განყოფილებაში ეთერმა შეასრულა ლისტის სონატა სი მინორი „მეფისტოფელსი“, შემდეგ კი შესრულდა რახმანინოვის სონატა № 1 რე მინორი.

დამსწრეთ მხურვალე ტაშით დაჯილდოვეს ქართველი მუსიკოსი.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ქ. მოსკოვი.





ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მდინარე მტკვრის სანაპიროზე მოწყობილ წყალჯომარდობის ბაზაზე ხშირად ნახავთ თბილისის განათლების განყოფილებასთან არსებული ბავშვთა წყალჯომარდობის სპორტული სკოლის წარმომადგენლებს, რომლებიც აკადემიურ ნიჩბოსნობაში ოსტატდებიან მწვრთნელების დავით მელქაძის, იგორ სოხინის, ვლადიმერ ლისენკოს და ოლეგ მიზგარიოვის ხელმძღვანელობით. ამ სკოლაში გაერთიანებული არიან 1969-1972 წლებში დაბადებული ბავშვები. ამჟამად ნიჩბოსნები ემზადებიან საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადისათვის, რომელიც ფოთში უნდა გაიმართოს ივნისში და იქ მოპოვებული შედეგების გათვალისწინებით საბოლოოდ დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები.

სურათებზე: საქართველოს ნაკრების წევრი, პირველთანრიგოსანი მაია გოგუაძე; ვარჯიშის ერთ-ერთი მომენტი.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ბადრაკი. შვეიცის ქალაქ მალმეში გრძელდება ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა შეჯიბრება. მეთორმეტეტურში მხოლოდ ერთი პარტია დამთავრდა: მარტა ლიტინსკაიამ დაამარცხა უ მინციანი (ჩინეთი). პია კრამლინგს (შვეცია) ნანა ალექსანდრიასთან გადადებული პარტიაში ზედმეტი პაიკი აქვს. ელენე ახმილოვსკაიას ლიდია სემიონოვასთან ზედმეტი ხარისხი, მაგრამ რთული პოზიცია აქვს, ბრუსტმანმა კი (პოლონეთი) ირინე ლევტინასთან უკეთეს მდგომარეობაში გადადო პარტია. თორმეტი ტურის შემდეგ მოჰადრაკეთა სატურნირო მდგომარეობა ასეთი იყო: ახმილოვსკაია — 7 ქულა (3 გადადებული), ლიტინსკაია — 7 (1), ალექსანდრია — 5,5 (3), სემიონოვა — 5,5 (2), ბრუსტმანი — 4,5 (2), ლევტინა — 4 (3), კრამლინგი — 3,5 (2), უ მინციანი — 2 (2).

სათხილამურო სპორტი. ბაკურიანში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში პირველობა მოიპოვა ალმაათელმა სერგი ოზერნიხმა (421,2 ქულა). მეორე ადგილზე გამოვიდა ოზერნიხის თანამოკალაქე ვლადიმერ ჩერნიავეი (413,0), მესამეზე — პერმელი ლეონიდე კომაროვი (388,0). საქართველოს სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ბაკურიანელი გიორგი დიაკოხაშვილი. იგი მეთორმეტე ადგილზე გამოვიდა.

ფარიკაობა. დამთავრდა „ლენინგრადის რაპირაზე“ და „ტალინის მახვილად“ წოდებული საერთაშორისო შეჯიბრებანი. ლენინგრადში უძლიერესი იყო მინსკელი რაპირისტი ალექსანდრე რომანკოვი, გუნდურ ჩათვლაში კი პირველობა პოლონელმა მოფარიკაველებმა დაიკავეთრეს. ტალინში გამართულ დამნთი მოფარიკაველთა შეჯიბრების პირად ჩათვლაში ყველას აჯობა უნგრელმა საბოლო პასტორმა, გუნდური გამარჯვება კი სსრ კავშირის ნაკრებმა მოიპოვა.

ფეხბურთი. სსრ კავშირის საკლუბო გუნდების ნაკრებმა, რომელიც ახალ ზელანდიაში იმყოფება, პირველი შეხვედრა ამ ქვეყნის გუნდთან გამართა ქალაქ ოკლენდში. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა. ბურთი გაიტანა ოლეგ მოროზოვმა.

ვოლეიბოლი. კუბის გზებზე გრძელდება მრავალდღიანი ველორბოლა. ხუთი ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში ლიდერობს კუბელი ედუარდო ალონსო. გუნდურ ჩათვლაშიც კუბელები არიან დაწინაურებულნი. მეორე ადგილზეა სსრ კავშირის ნაკრები.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

„შეგვაწუხა ამ კაცმა“?!

ანუ ერთი თავმოუგმელი

თაოსნობის გამო

მიეკლინეზის მოწმობა უსაფუძვლოდ არ შეესებულა — ღრმაღელეთა ღრმა გულისტკივილმა გვიხმო გზად.

მაინც რა იყო მიზეზი?...

„ლამაზია ლენინუთის რაიონის სოფელი ღრმაღელე, მაგრამ მზრუნველი ხელი აკლია. ბევრი ახალგაზრდა წავიდა, ბევრიც წასვლას აპირებს. რა ბედი ეწევა სოფელს?“..

თავდაპირველად ამ ციტირებული აბზაცის ბოლოს დასმულივით უმნიშვნელო ჩანდა სხვა — უფრო დიდი კითხვის ნიშანიც, მაგრამ... წუხდა, ფიქრობდა კაცი, და ერთ მშვენიერ დღეს, როცა მთელი თავით ემაღლა იგი, კარში გავიდა — ჯერ ახლო მეზობლებს გაანდო გულისტკივილი, მერე კი რაიონის ხელმძღვანელობაც შეაწუხა.

შეაწუხა... მაშინ არავის ეჩოთირა ეს უმტკივნეულო სიტყვა — რიდის, მოკრძალებისა თუ თავაზიანობის ტყუპისცალი, ეს მერე და მერე მიანიჭეს სხვა მნიშვნელობა, და საბოლოოდ, სამსიტყვიან ფრაზად აქციეს.

უკვე ხშირად გაიგონები, „შეგვაწუხა ამ კაცმა!“...

კეთილი და პატიოსანი. ახლა ისიც ვიკითხოთ, რით შეაწუხა, და რატომ შეაწუხა „ამ კაცმა“, ანუ იგივე ვასო როყვამ ქვეყანაზ?!

რაღა შორს წავიდეთ, იმ წერილით დავიწყოთ, რომლითაც ჩვენ „შეგვაწუხა“:

„ერთი უბრალო კაცი ვარ, სოფლად დაბადებულ-გაზრდილი. მიყვარს ჩემი კუთხე და სწორედ ამ სიყვარულმა გამაბრიყვა ეს დროული კაცი. როგორც ყველა, ჩემი სოფელიც მოკლებულია ბევრ ქალაქურ სიკეთეს, და ასეთადაც დარჩება, ხელი თუ არ გავაძრიეთ და ახალგაზრდობას მეტი გასაქანი არ მივეცით. ისიც უნდა ვიწრმუნოთ, რომ თითო ბაქალაქებული ახალგაზრდა — თითო დაკარგული იმედია სოფლისათვის.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებთან, როგორც ერთ-ერთი ორგანიზაციის — სუფსის საცალო ვაჭრობის გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანს, საშუალება მომეცა თამამად განმეცხადებინა ჩემი ფიქრები: მიგვეხედა სოფლისათვის, შეგვექმნა კულტურის ცენტრი, რითაც ხელი შეეწყობოდა სოფლად ახალგაზრდების შენარჩუნებას.

შემოვიკრიბე ისინიც. გავანდე ჩემი ზრახვები — სოფელს მივხედოთ, გავალამაზოთ და კეთილმოვაწყოთ-მეთქი. თვალები გაუბრწყინდათ, რაღა ხვალისთვის გადავდოთ, დღესვე შევუდგეთ საქმესო, და მკლავი დაიკაბიწეს!

ჯერ ხელმძღვანელობას უნდა შევუთანხმდეთ-მეთქი და, ერთი სული ჰქონდათ, მანამ რაიკომიდან მოვბრუნდებოდი.

იქაც მომიწონეს გადაწყვეტილება, დახმარება და თანადგომა აღმითქვეს, ხოლო სახელდახელოდ შედგენილი გეგმა-პროექტი რაიკომის ბიუროზე განსახილველად დაიტოვეს“...

ჩვენც აქ შევჩერდეთ. იმის დასტურად, მოიწონეს თუ არა ბიუროზე ინიციატორის წინადადება, ლენინუთის რაიონული გაზეთი „კომუნისტური შრომა“ დავიმოწმოთ: „შევიჩეროთ მიგრაცია, შეიუქმნათ ახალგაზრდებს შრომისა და დასვენების საუკეთესო პირობები. აი ძირითადი აზრი, რომელიც გამოიკვეთა ღრმაღელელი კომუნისტის ვ. როყვას წერილში (დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, მოიწონა პარტიის ლენჩხუთის რაიკომის ბიურომ...)“.

გაზეთი იმედოვნებდა, რომ ინიციატივას პირველნი დაუჭერდნენ მხარს ღრმაღელის სასოფლო საბჭოს აღმასკომი და ადგილობრივი იკერტულების საბჭოთა მეურნეობის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, მაგრამ თუ მისსავე შომდევნო პუბლიკაციას ვერწუნენით: „ხელმძღვანელთა ერთმა ნაწილმა ხელიც კი შეუშალა კომუნისტს — ეს რომ ღრმაღელეში გაკეთდეს, სხვა სოფლებიც მოითხოვენო!“...

„შეგვაწუხა ამ კაცმა“?!

თაოსნობის გამო

ციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობას დაეკალა.

ამონაწერი ღრმაღელის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის (მდივანი ბ. კვეჭაძე) 1984 წლის 24 აგვისტის სხდომის ოქმიდან:

„დაეკალოს მეურნეობის დირექციას მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდოს ინიციატივის განხორციელებას; პარტიულმა კომიტეტმა სხდომებზე პერიოდულად მოისმინოს ინფორმაცია აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე“.

უკვე 1986 წელია, სამუშაოთა თითქმის ნახევარი კი შეუსრულებელია; რაც გაკეთდა — მეტწილად სოფლის მშრომელთა ძალებითა და დაქირავებული მუშახელით, რომლის საფასურიც დღემდე აუნაზღაურებელია (!).

ზემოთ უკვე ვთქვით, შუა წყალში მიატოვეს საქმეც და თაოსანიც. ამის თავიდათავი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მეურნეობას არც ხარჯთაღრიცხვა გაუკეთებია და შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურებაც თვით... თაოსანს დაკისრა!

და დგანან მეკალეები ვასო როყვას ჭიშკართან (მან ადრინდელი რკინის ჭიშკარი კარგა ხანია სკოლას უსახსოვრა), დგანან და ელიან გასამრჯელოს...

ხოლო ისინი, ვისაც წესით, რიგით და ყველა სამართლით ევალება მეკალეთა გასტუმრება, იქედნურად ქირქილებენ: აი, ვასო როყვა ესტრადას მოაწყობს, ალა პუგაჩოვას მოიწვევს და კონცერტზე შემოსული თანხით ყველა ვალს გაისტუმრებსო!..

ამის შემყურე სოფელს გული გაუტყდა, ახალგაზრდებმა ზურგი აქციეს საქმეს და... აქ კვლავ დავუბრუნდეთ ვ. როყვას წერილს: „მე კარგად ვიცხობ ჩემი სოფლის ახალგაზრდობას. ვიცი მისი ფიქრები და ოცნებები. მეამაყება, რომ კარგი, გამრჯე ჯაბუკები და ქალიშვილები გვყავს, მაგრამ არავინ ზრუნავს მათი თავისუფალი დროის ორგანიზაციისა და სულიერი გამდიდრებისათვის. მარტო ღარიბი ბიბლიოთეკა უშველის საქმეს?

კლუბი, რომლის კედლებიც ამ ორი წლის წინათ ამოვიყვანეთ, მტოვებელია. დიდი წვალებით ნაშოვი სახურავი სესხის სახით წაგვართვეს და რაიონის კულტურის სახლი გადახურეს; განათებისათვის მოტანილი რკინის ბოძები კი სად წაიღეს, დღემდე არ ვიცით“...

წერილში სხვაც ბევრია საგულისხმო, მაგრამ მთავარი მაინც სოფლის საერთო გულისტკივილია: სკოლას არა აქვს სასმელი წყალი. მოსწავლეებს ღელის წყალს ასმევენ; სასოფლო საბჭო, შემნახველი სალარო და ფოსტა ხის ძველისძველ ნაგებობასაა შეხიზნული; მეურნეობის წინ მშვენიერი ფიქვნარი იყო და, კაცმა არ იცის, რატომ გაკაფეს; მუშათა სასადილო გაგგიუქმეს და შენობა უპატრონოდ მიატოვეს; არა გვაქვს ფურნე და საპარიკმახერო, მგზავრთა მოსაცდელი ჯიხური, აბანო და სამკეცლო; შინმოუსვლელთა პარკი კი შემოვლობეთ, მაგრამ სტენდზე არავის უზურნია, მთავარი ქუჩაც გაუნათებელია; 200-ნომრიანი სატელეფონო სადგური, რომელიც 14650 მანეთად შეიძინა ჩვენმა მეურნეობამ, ჩონჩხათის კოლმეურნეობას ფადასცეს...

...ყველა საწუხარი არც ღრმაღელელებს გაუმხელიათ, და არც ჩვენ ჩაგვინიშნავს. უბის წიგნაკში.

ლ. გახარია.

რედაქციისაგან: როგორც წერილშიც აღვნიშნეთ, პარტიის ლენჩხუთის რაიკომის 1984 წლის 12 ივლისის ბიუროს სხდომის დადგენილებაში გარკვევით წერია, რომ ბიუროს პირველივე მორიგი სხდომა მოისმენდა ინიციატორის ანგარიშს აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე. მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ნათქვამი, სამწუხაროდ, ნათქვამად დარჩა.

ლენჩხუთში ყოფნისას ჩვენს სპეციალურ კორესპონდენტსაც შეჰპირდნენ, რაიკომის პირველსავე ბიუროზე ხელახლა განვიხილავთ ამ საკითხს, ყოველივეს დავაკონკრეტებთ და პასუხსაც წერილობით შეგაცნობინებთო, მაგრამ... მრავალჯზის შეხსენების მიუხედავად, წერილობითი და თუნდაც, ზეპირი პასუხიც კი, დღემდე არ მიგვიღია.

და კიდევ: წერილი უკვე ლინოტიპზე იწყობოდა, ღრმაღელის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ზ. წილოსანის განთავისუფლების და ამ თანამდებობაზე, ინფორმატორთა მტკიცებით, ადგილობრივი, ღირსეული კანდიდატურის დანიშვნის ამბავი რომ შევიტყვეთ.

იმედია, ჩვენი დღევანდელი პუბლიკაციის შემდეგ მაინც ჩაუღრმავდება ჯეროვნად რაიონის ხელმძღვანელობა ღრმაღელელთა სატკივარს, ქმედითს ღონისძიებებსაც განახორციელებს დანაპირების შესრულებისათვის, რათა სოფელს არ ითქმევინოს. შუა წყალში მიგვატოვესო!

მთის ცივ მდინარესთან შერკინებაში გაიმარჯვა სერჟანტმა ნ. აბასოვმა და სიკვდილს გადაარჩინა თავისი მეთაური.

...წვრთნის რაიონში თითქმის ორ დღე-ღამეს გადაუღებლად წვიმდა და ისედაც მთის სწრაფი მდინარე გაავებულ ნაკადად გადაქცია. ამ დროს მიიღეს ბრძანება, რაც შეიძლება სწრაფად გაეღოთ ხიდი მდინარეზე, ლეიტენანტ ი. ბელოუსოვის მესანგრეთა ოცეულმა ერთსულოვნად მოკკიდა საქმეს ხელი, წარმატებით დაძლიეს აბობოქრებული სტიქიის წინააღმდეგობა და ნორმატიული დროის გასწრებით გადეს ხიდი. სწორედ ამ დროს, როდესაც სამაგრებს ამოწმებდა, ბელოუსოვს ფეხი დაუცდა.

დაცემისას იგი ხმიხეს მიეჯახა, გონება დაკარგა და ბობოქარ მდინარეში აღმოჩნდა. წყალმა იგი სწრაფად თავქვე გაიქანა.

თავისი მეთაურის საშველად იმწამს გაეშურა ნ. აბასოვი. ყინულივით ცივმა წყალმა დასუსხა სახე და ხელები, სუნთქვა შეუკრა. სველი ტანსაცმელი მოძარაობაში ხელს უშლიდა, ჩექმები დაუმძიმდა. ტყვიასავით და ფსკერისაკენ ეწეოდა. მეომარმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, რამდენიმეჯერ ჩაყვინთა, სანამ არ მიაგნო დაზარალებულს. კიდევ ერთი გაბრძოლება, და ხელი დაავლო გონდაკარგულ ლეიტენანტს. მალე ორივე წყლის ზედაპირზე ამოცურდა. ათობით საიმედო ხელმა ისინი ნაპირზე ამოიყვანა. აქ ბელოუსოვს პირველი დახმარება აღმოუჩინეს. შემდეგ სანიტარიულ ნაწილში გაგზავნეს. ამასობაში მესანგრეების მიერ გადებულ ხიდზე ბუგუნით მიემართებოდნენ ტანკები. ისინი უკანდახეულ „მოწინააღმდეგეს“ მისდევდნენ.

(საინფორმო).

მკმაცობის კანონით

მეთაური გადაარჩინა

ᲛᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ᲐᲠᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

პირველმა ნასამართლობამ ჭკუა ვერ ასწავლა თბილისელ ვალერიან ადეიშვილს. სასჯელის მოხდის შემდეგ იგი ფორმალურად მოეწყო სამუშაოზე, მაგრამ თავისი არ მოიშალა.

... იმ დღეს დილაადრიან შეუდგა სმას, კარგად რომ გამოთვრა, რევოლვერის სროლა მოეპრიანა, რომელსაც უკანონოდ ინახავდა. ვ. ადეიშვილი ქალაქში დაიროლებდა მანქანას და გზადაგზა გასაროობად ისროდა.

ნაცნობებთან შეიარა, „გასამხნევებლად“ კიდევ გადაკრა და სახიფათო ვოიაჟი განაგრძო. ფინალი ტრაგიკული აღმოჩნდა: თოფურიძის ქუჩაზე ლოთმა ბიჭი მოკლა.

დამნაშავე შეეცადა კვალი დაეფარა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. დაკავებისას მან წინააღმდეგობა გაუწია მილიციის თანამშრომლებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გაითვალისწინა დამნაშავის პიროვნება და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება და ვ. ადეიშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯა.

განაჩენი აღსრულებულია.

(საინფორმო).

ᲝᲨᲘᲚᲐᲠᲘᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐ

ქარელი. (საკ. კორ.). 1930 წლის 5 იანვარს სოფელ ქარელის უღარიბესმა გლეხობამ თავის კრებაზე იფიციალურად გამოაცხადა კოლმეურნეობის ჩამოყალიბება.

ამ სასოფლო-სამეურნეო საწარმომ თავისი არსებობის 55 წლის მანძილზე დიდი და სახელოვანი გზა განვლო. აქაური პრიმიტიული მეურნეობა მრავალდარგოვან, მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე კოლექტიურ მეურნეობად გადაიქცა.

ამ დღეებში ქარელის კოლმეურნეობამ თავისი 55 წლისთავი აღნიშნა. მშრომელთა საზეიმო კრებაზე წაიკითხეს სახაგრომრეწვისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური პროფკავშირის დადგენილება ქარელის კოლმეურნეობისათვის „კომუნისტური შრომის კოლექტივის სატიტო წოდების მინიჭების შესახებ.



1963 წელს გივი ანდრიაძე ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისალებად ბელგიის ქალაქ გენტში გაემგზავრა. ფინალისკენ მიმავალ გზაზე მან ყველა მეტოქეს სძლია. ფინალში ერთნაირი ანგარიშით (5:3) დაამარცხა რუმინელი დრიმბა და ავსტრიელი ლობერტი. ბოლოს დადგა გადამწყვეტი წუთები. ერთმანეთს ხვდებოდნენ ქართველი მოფარიკავე და მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონი, ფრანგი კურტილია.

ფრანგი მოფარიკავე ცაცია იყო, ეს გარემოება, აგრეთვე მისი დიდი გამოცდილება. და დახვეწილი საბრძოლო ტაქნიკა მეტოქეებს დაუძლეველ დაბრკოლებად მიაჩნდათ. „მხოლოდ სწრაფი, ელვისებური იერიშები, წამებმა უნდა გადაწყვიტოს ყველაფერი“, — ფიქრობდა გივი და გამომცდელად ათვალიერებდა მეტოქეს. გივიმ ჩემპიონს სულის მოთქმა არ აცალა. ერთიმეორის მიყოლებით მიაყენა ხუთი ჩხვლეტა და თვითონ მხოლოდ ერთი მიიღო. ასეთ შედეგს არავინ ელოდა, თვით კურტილიასაც არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ მსოფლიოში „პირველი დაშნის“ სახელისათვის ბრძოლა წაგებული ჰქონდა. იგი ნერვიულად ატრიალებდა ხელში დაშნას და ვაოგნებული შესცქეროდა ხან აბვირთებულ დარბაზს, ხან კი — მოთათბირე მსაჯებს.

ᲓᲐᲨᲜᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲤᲝᲜᲕᲔᲜᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

მისი ნამდვილი სახელია ნიკოლოზი, მეგობრები და ახლობლები კი გივის ეძახიან. გივი ანდრიაძე — ასე იცნობდა მას სამოციანი წლების სპორტული სამყარო.

გივის ოჯახში პოეზიისა და მედიცინის კულტი მეფობდა. დედის მხრივ პაპამისი ჩვენი სასიქადულო პოეტი ტიციან ტაბიძე იყო. მეორე პაპა, პროფესორი ნიკოლოზ ანდრიაძე — ბავშვთა ინფექციური ინფიცირების საავადმყოფოს დამაარსებელი და ამ საავადმყოფოს პირველი ხელმძღვანელი, ხოლო მამა — ალექსი ანდრიაძე — კარდიოლოგიის ინსტიტუტის საკონსულტაციო პოლიკლინიკის ხელმძღვანელი. როცა გივიმ ფარიკაობაში დაიწყო ვარჯიში, პოეზიისა და მედიცინის სიყვარულს სპორტის სიყვარულიც დემატა. ჩვიდმეტ წლისამ სპორტის ოსტატის წოდება დაიმსახურა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა და სწავლასთან ერთად გულმოდგინედ ვარჯიშობდა ფარიკაობაში. ჭაბუკთა შორის ხუთჯერ მოიპოვა საქართველოს და სამჯერ — საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა.

1963 წელს გივი ანდრიაძე ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისალებად ბელგიის ქალაქ გენტში გაემგზავრა. ფინალისკენ მიმავალ გზაზე მან ყველა მეტოქეს სძლია. ფინალში ერთნაირი ანგარიშით (5:3) დაამარცხა რუმინელი დრიმბა და ავსტრიელი ლობერტი. ბოლოს დადგა გადამწყვეტი წუთები. ერთმანეთს ხვდებოდნენ ქართველი მოფარიკავე და მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონი, ფრანგი კურტილია.

ფრანგი მოფარიკავე ცაცია იყო, ეს გარემოება, აგრეთვე მისი დიდი გამოცდილება. და დახვეწილი საბრძოლო ტექნიკა მეტოქეებს დაუძლეველ დაბრკოლებად მიაჩნდათ. „მხოლოდ სწრაფი, ელვისებური იერიშები, წამებმა უნდა გადაწყვიტოს ყველაფერი“, — ფიქრობდა გივი და გამომცდელად ათვალიერებდა მეტოქეს. გივიმ ჩემპიონს სულის მოთქმა არ აცალა. ერთიმეორის მიყოლებით მიაყენა ხუთი ჩხვლეტა და თვითონ მხოლოდ ერთი მიიღო. ასეთ შედეგს არავინ ელოდა, თვით კურტილიასაც არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ მსოფლიოში „პირველი დაშნის“ სახელისათვის ბრძოლა წაგებული ჰქონდა. იგი ნერვიულად ატრიალებდა ხელში დაშნას და ვაოგნებული შესცქეროდა ხან აბვირთებულ დარბაზს, ხან კი — მოთათბირე მსაჯებს.

ᲗᲚᲐᲕᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა მორიგ პრემიერად წარმოადგინა ცნობილი რუსი მწერლის კ. პუსტოვსკის მოთხრობის მიხედვით კ. ესაიას მიერ შექმნილი პიესა „კოლხიდა“.

სპექტაკლი, რომელიც მიეძღვნა სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებს, დადგა რეჟისორმა ო. ცერაძემ. მხატვარია გ. გუგუშვილი, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ლ. ქიშმიშვილს, სამხატვრო ხელმძღვანელია საქართველო ს სსრ სახალხო არტისტი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ლ. მირცხულავა; როლებს ასრულებენ ო. თეზელაშვილი, ბ. მიქაუტაძე, ნ. ბაკალავა, ალ. ნოდია, ნ. ჭიჭინაძე, შ. ლაბარტელიანი და სხვები.

კ. კომახიძე,
ვ. გუჯაბიძე.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ ᲤᲝᲗᲨᲘ

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა მორგე პრემიერად წარმოადგინა ცნობილი რუსი მწერლის კ. პუსტოვსკის მოთხრობის მიხედვით კ. ესაიას მიერ შექმნილი პიესა „კოლხიდა“.

სპექტაკლი, რომელიც მიეძღვნა სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებს, დადგა რეჟისორმა ო. ცერაძემ. მხატვარია გ. გუგუშვილი, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ლ. ქიშმიშვილს, სამხატვრო ხელმძღვანელია საქართველო ს სსრ სახალხო არტისტი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ლ. მირცხულავა; როლებს ასრულებენ ო. თეზელაშვილი, ბ. მიქაუტაძე, ნ. ბაკალავა, ალ. ნოდია, ნ. ჭიჭინაძე, შ. ლაბარტელიანი და სხვები.

კ. კომახიძე,
ვ. გუჯაბიძე.

ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ᲐᲠᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

პირველმა ნასამართლობამ ჭკუა ვერ ასწავლა თბილისელ ვალერიან ადეიშვილს. სასჯელის მოხდის შემდეგ იგი ფორმალურად მოეწყო სამუშაოზე, მაგრამ თავისი არ მოიშალა.

... იმ დღეს დილაადრიან შეუდგა სმას, კარგად რომ გამოთვრა, რევოლვერის სროლა მოეპრიანა, რომელსაც უკანონოდ ინახავდა. ვ. ადეიშვილი ქალაქში დაიროლებდა მანქანას და გზადაგზა გასაროობად ისროდა.

ნაცნობებთან შეიარა, „გასამხნევებლად“ კიდევ გადაკრა და სახიფათო ვოიაჟი განაგრძო. ფინალი ტრაგიკული აღმოჩნდა: თოფურიძის ქუჩაზე ლოთმა ბიჭი მოკლა.

დამნაშავე შეეცადა კვალი დაეფარა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. დაკავებისას მან წინააღმდეგობა გაუწია მილიციის თანამშრომლებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გაითვალისწინა დამნაშავის პიროვნება და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება და ვ. ადეიშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯა.

განაჩენი აღსრულებულია.

(საინფორმო).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

**რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-86-10, გაყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-81, მარქსის ტულლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-37-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 93-22-93, აღგილობრივი